ეწვიეთ ვებ-ბვეჰდს და იკითხეთ ახალი ამბები

7 მაისი, 2016 N15

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

ყოველკვირეული ოჰენოვანი ბაზეთი საქაჰთველოში

WEEKLY BILINGUAL NEWSPAPER IN GEORGIA

ოპოზიცია "ქაჰთული ოცნების" შიდა დაპირისპირება მოახლოებული აჩჩევნების ფონზე

ბვ. 2

არჩევნების მოახლობასთან ერთად, ექსპერტები და ოპოზიცია სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმ დაპირისპირებაზე, რომელიც კოალიციის შიგნით წარმოიშვა. არსებობს აზრი, რომ მომავალში დაპირისპირება არათუ დასრულდება, არამედ უფრო აქტიურ ფაზაში გადავა. ცოტა ხნის წინ, დავით ბერძენიშვილმა „მრეწველებს“ შეახსენა მათი დაბალი რეიტინგი 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ის შექმნილ სიტუაციას განიხილავს არა პარტიული, არამედ იდეოლოგიური დაპირისპირების ჭრილში. მან ისიც დაამატა, რომ თოფაძის განცხადებებში იკვეთება პოლიტიკური კურსი, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს სწრაფვას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. ხოლო თინათინ ხიდაშელის თქმით, ეს არის კოალიციის საწინააღმდეგო სისტემური კამპანია, რომლის წარმმართველი ძალები მეზობელ ქვეყანაში უნდა ვეძებოთ.

"ბაზპრომსა" და "სოკარს" შორის მოქცეული ქაჰთული პოლიტეკონომიკა

ბვ. 4

აბდულაევს მიაჩნია, რომ აზერბაიჯანი გაზრდის საკუთარ ინვესტიციებს საქართველოში, რადგან ეს პარტნიორობა ორმხრივად მომგებიანია. მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებამ საქართველოსთვის გააჩინა შესაძლებლობა, რომ წინ აღუდგეს გაზპრომის ბერკეტებს. კალაძის განცხადებით, რუსულ მხარესთან არსებულ შეთანხმებას იგივე პირობები ექნება მისი განახლების შემდეგ. აქედან გამომდინარე, საქართველო კვლავაც ქვეყნის ტერიტორიის გავლით სომხეთში ტრანზიტით გადატანილი გაზის 10 პროცენტს მიიღებს. გაზის მოცემული რაოდენობის თანხით ჩანაცვლება არ მოხდება, როგორც ეს რუსულ მხარეს სურდა. ეს პირობები გაზპრომთან უკვე შეთანხმებულია და მას მხოლოდ ხელის მოწერა აკლია.

ახალი ტამპანია ქალთა მიმაჰთ ძალადობის აღმოსაფხვჰელად

ბვ. 8

მწერალი, დიპლომატი, იურისტი, სამხედრო მოსამსახურე, - ეს ფოტოებზე წარმოდგენილი ქალბატონების საქმიანობის არასრული ჩამონათვალია. განსხვავებული პროფესიებით ისინი ერთი პრობლემის გარშემო ერთიანდებიან. პოპულარული ტელე-სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტი, ქეთი დევდარიანი ტელეეკრანიდან ქალთა მიმართ ყოველდღიურ, თითქმის ნორმად ქცეულ პირდაპირ თუ ირიბ, ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ ძალადობაზე საუბრობს. ახალაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი კი, ქალთა ემანსიპაციას გენდერულად სენსიტიური მართლმსაჯულების სისტემის ადვოკატირებით ცდილობს.

საქაჰთველო ევჰოპაჰლამენტის გადაწყვეტილების მოლოდინში ბვ. 3

ალექსი პეტრიაშვილის საქმე - პიჰადი შულლი, პოლიტიკური გაჰჩევა თუ ჰოვოკაციის მსდელობა ბვ. 6

ტოლერანტობის დამკვიდჰების სახელმწიფო პოლიტიკა და ეროვნული უმცირესობების ჰეალური მდგომაჰეობა საქაჰთველოში ბვ. 7

ახალი ჰეფორმები საბზაო ჰობლემების პიჰისპიჰ ბვ. 9

"უსახელო ვაჰსკვლავი" მაჰჯანიშვილის თეატრის სცენაზე კიდევ ეჰთხელ გამოჩნდა ბვ. 12

ცნობილი აზერბაიჯანელი მხატვრის აბსტრაქტულ ხელოვნებას ლონდონის შემდეგ თბილისი მასპინძლობს ბვ. 13

ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE

გაზეთი "ობზერვერი" საერთაშორისო სავაჭრო პალატა - საქართველოს წევრი გახდა

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

პოლარიზია "ქართული ოცნების" შიდა დაპირისპირება მოახლოებული არჩევნების ფონზე

სალომე ხვედელიძე

დაპირისპირება მმართველი გუნდის ორ პოლიტიკურ სუბიექტს შორის რამდენიმე კვირაა გრძელდება. 3 მარტს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სოციალურ ქსელში გაავრცელა საგანგებო მიმართვა, რომლითაც მოუწოდა პარტიებს, „ნებისმიერი სადავო საკითხი მხოლოდ კოალიციის შიგნით" განეხილათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვირიკაშვილი არ გამორიცხავს პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სიტუაციის სტაბილიზებას.

აღნიშნული მიმართვის მთავარი ადრესატი იყვნენ რესპუბლიკური პარტია და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს". ცოტა ხნის წინ ფრაქცია „მრეწველების" ლიდერმა გოგი თოფაძემ, თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი 31 ოქტომბრის საგარეჯოს შუალედური არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა, რის შედეგადაც მთავარმა პროკურატურამ საქმე აღძრა 332-ე მუხლით, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების შესახებ. გამოძიებისთვის ჩვენების მისაცემად თავდაცვის მინისტრი მზად არის. „ეს არის ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებული პროდასავლური პოლიტიკის საწინააღმდეგო კამპანია. ესაა ბინძური მეთოდები, რომლებიც ამ ბოლო პერიოდში გამოჩნდა. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ გაცილებით უფრო სამარცხვინო მეთოდებისა და სამარცხვინო კამპანიების მომსწრეები გავხდებით შემდეგი თვეების განმავლობაში საარჩევნო პერიოდში", - გადანცხადა თინათინ ხიდაშელმა.

პრემიერ - მინისტრმა დაგმო გოგი თოფაძის საჯარო ბრალდება ხიდაშელის მიმართ, თუმცა ამავდროულად შენიშნა ისიც, რომ თავდაცვის მინისტრი, პირველ რიგში, მთავრობის წევრია და არ უნდა იყოს ჩართულ მსგავს დაპირისპირებაში. მისი თქმით, აუცილებელია ქართული ჯარი დისტანცირებული იყოს პოლიტიკური პროცესებისგან, ხოლო საქართველოს მომავლისთვის უცხო და მიუღებელია საბჭოთა კავშირის წიაღიდან წამოსული სტალინისტური სენტენციები, რადიკალიზმი და მარგინალური ფსევდოტრადიციები.

მრეწველების ლიდერი გოგი თოფაძე კვირიკაშვილის მიმართვას მალე გამოეხმაურა: „ძალიან კონკრეტული და ძალიან სწორი განცხადება გააკეთა პრემიერმა, დიპლომატიური. მან ძალიან კარგად იცის, ვინ არის მართალი და ვინ არის მტყუანი. შევხვდებით პოლიტსაბჭოზე. ალბათ იქნება კამათი და მოხდება გადაწყვეტილების მიღება. ჩვენ ძალიან მყარი პოზიციები გვაქვს ყველა საკითხში, რომელიც დავაყენეთ". „მრეწველთა" წევრის ზურაბ ტყემალაძის თქმით კი, ისინი პრემიერისა და პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებას დაემორჩილებიან.

როგორც ჩანს, „მრეწველებისგან" განსხვავებით, კვირიკაშვილის მიმართვამ რესპუბლიკელებში გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია. სიცხადის შესატანად, უკანასკნელებმა პრემიერთან შეხვედრა დანიშნეს 3 მარტს საღამოს 9 საათზე. შეხვედრას ესწრებოდნენ რესპუბლიკური პარტიის თავჯდომარე ხათუნა სამნიძე, დავით ბერძენიშვილი, თინათინ ხიდაშელი და დავით უსუფაშვილი. ხათუნა სამნიძის თქმით, შეხვედრაზე საუბარი იყო იმ საკითხებზე, რასთან დაკავშირებითაც შეკითხვები გაჩნდა - მათ გაცვალეს აზრები და დაფიქსირეს პოზიციები. მან ისიც დაამატა, რომ რესპუბლიკელები „ქართულ ოცნებასთან" აგრძელებენ ურთიერთობას სტრატეგიული თანამშრომლობის რეჟიმში და ორპარტიულ შეთანხმებაზე საუბარი უკვე დაწყებულია, რომელიც მათ სტაბილურ გარემოში მიიყვანს არჩევნებამდე.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ექსპერტები და ოპოზიცია სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმ დაპირისპირებაზე, რომელიც კოალიციის შიგნით წარმოიშვა. არსებობს აზრი, რომ მომავალში დაპირისპირება არათუ დასრულდება, არამედ უფრო აქტიურ ფაზაში გადავა. ცოტა ხნის წინ, დავით ბერძენიშვილმა „მრეწველებს" შეახსენა მათი დაბალი რეიტინგი 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ის შექმნილ სიტუაციას განიხილავს არა პარტიული, არამედ იდეოლოგიური დაპირისპირების ჭრილში. მან ისიც დაამატა, რომ თოფაძის განცხადებებში იკვეთება პოლიტიკური კურსი, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს სწრაფვას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. ხოლო თინათინ ხიდაშელის თქმით, ეს არის კოალიციის საწინააღმდეგო სისტემური კამპანია, რომლის წარმმართველი ძალები მეზობელ ქვეყანაში უნდა ვეძებოთ.

განვითარებულ მოვლენებს აფასებენ კოალიციის გარეთ. გიგი წერეთლის, საპარტლამენტო უმცირესობის წევრის თქმით, პრემიერ-მინისტრის განცხადება იყო მცდელობა, რომ კოალიციის ერთიანობა შენარჩუნდეს, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება, რადგან კოალიციის წევრები პიროვნულადაც და იდეოლოგიურადაც ერთმანეთს უპირისპირდებიან. წერეთლის მოსაზრებას იზიარებს „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანიაც. მისი აზრით, გიორგი კვირიკაშვილი ცდილობს წესრიგი დაამყაროს, თუმცა ერთმანეთთან ასე დაპირისპირებული მმართველი კოალიცია ვერ გააერთიანებს საქართველოს და ეს უკვე ეტყობა ქვეყნის მართვასაც. სკეპტიკოსების რიგებში აღმოჩნდა „ქართული ოცნების" ყოფილი წევრი, დეპუტატი მურმან დუმბაძე. გადაცემა „არჩევანის" ეთერში მან აღნიშნულ საკითხზე ისაუბრა და თქვა, რომ ბრძოლა არ მიმდინარეობს იდეოლოგიებზე, არამედ პარტიული სიებისთვის. მან იმასაც გაუსვა ხაზი, რომ პოლიტსაბჭოს სხდომა არის ფორმალობა და ამ საკითხს ბიძინა ივანიშვილი ერთპიროვნულად გადაწყვეტს. უმრავლესობის წევრი თამაზ მეჭიაური კი ფიქრობს, რომ „ქართული ოცნება" საპარლამენტო არჩევნებზე დამოუკიდებლად უნდა წარდგეს.

კოალიციის შიგნით იმედოვნებენ, რომ დაპირისპირება მალე დასრულდება. ამის იმედი აქვს საპარლამენტო უმრავლესობის წევრს ანი მიროტაძეს. თავის განცხადებაში მან აღნიშნა, რომ „ქართულ ოცნებაში" არსებობს კოალიციაში გაუგებრობის მოგვარებისთვის შიდა რესურსი და გიორგი კვირიკაშვილმაც სწორედ ამას გაუსვა ხაზი. მისი თქმით, ვითარება კოალიციის იმიჯზე მეტად უარყოფითად აისახება. მას უერთდება მანანა კობახიძე და რამდენიმე სხვა დეპუტატიც.

ბოლოდროინდელი გამოკითხვები ცხადჰყოფს, რომ ამჟამინდელი საპარლამენტო უმრავლესობა, ისევე როგორც უმცირესობა, მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობს. ამომრჩეველთა დიდი ნაწილი კი, კითხვაზე, თუ ვის დაუჭერს მხარს არჩევნებზე, პასუხისგან თავს იკავებს. პოლიტოლოგების შეფასებით, მოახლოებული არჩევნების ფონზე „ქართულ ოცნებას" არ აქვს დაშლის ფუფუნება - ცალცალკე დაშლილ პარტიებად ისინი ხმების დიდ რაოდენობას ვერ დააგროვებენ. თუმცა, ამავდროულად, ნათელია, რომ კოალიციის შიგნით განსხვავებული იდეოლოგიები და მსოფლმხედველობა თავს იჩენს. ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა „ქართული ოცნება" ერთიანობის შენარჩუნებას, მაგრამ ერთი რამ ცხადია - ბოლო წლებში კოალიციის რიგები არაერთმა პოლიტიკოსმა დატოვა და გაერთიანების 2012 წლის საპარლამენტო სია წელს შეცვლილი სახით წარმოგვიდგება. მოსახლეობა კი დიდი ინტერესით ადევნებს თვალს პოლიტიკოსთა დაპირისპირებას, განსაკუთრებით კი, პრემიერ-მინისტრის განცხადებებს და მათ რეალურ მნიშვნელობას განიხილავს.

საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩად პასკალ მენიე დაინიშნა

საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლოებიანი ელჩის თანამდებობაზე 62 წლის დიპლომატი პასკალ მენიე დაინიშნა. 2012 წლიდან დღემდე მენიე ამავე პოზიციაზე აზერბაიჯანში მუშაობდა იქამდე კი მსახურობდა საფრანგეთის საელჩოებში: ტოკიო, პრაღა, ვარშავასა და სტოქჰოლმში. 2016 წლის 4 მარტს პასკალ მენიემ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მიხეილ ჯანელიძეს რწმუნებათა სიგელების ასლი გადასცა. მინისტრმა ფრანგ დიპლომატს მიულოცა ახალ თანამდებობაზე დანიშვნა და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. ამასთან, ხაზი გაუსვა საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის ჩამოყალიბებულ მჭიდრო მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებს ისევე, როგორც უკვე არსებული თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებით გაღრმავების აუცილებლობას. თავის მხრივ, მენიემ კიდევ ერთხელ დაადასტურა საფრანგეთის მხარდაჭერა საქართველოსადმი და გამოთქვა მზაობა, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებას.

შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა საქართველოში მიმდინარე პროცესები, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მნიშვნელობა და ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებები, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია და სამომავლო პერსპექტივები, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და რეგიონში მიმდინარე მოვლენები.

საქართველო ევროპარლამენტის გადაწყვეტილების მოლოდინში

ბუსამ ფსქიანაძე

გასულ დღეებში მთავრობის სხდომის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ საქართველოსთვის ვიზა ლიბერალიზაციის საკითხზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ევროკომისია ამასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებებს უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს. მისი თქმით, კომისიის მიერ საკანონმდებლო ცვლილების ევროკავშირის საბჭოში წარდგენა პრემიერ-მინისტრის ბრიუსელში ვიზიტის დროს გადაწყდა. ამის შემდეგ დაიწყება მისი განხილვა, რასაც საბჭოს, შემდეგ კი ევროკავშირის პარლამენტის გადაწყვეტილება და მისი წევრი ქვეყნების თანხმობა ესაჭიროება.

ჯანელიძის განცხადებითვე ირკვევა, რომ ეს მიმდინარე კვირებში მოხდება, ამიტომ ამ პროცედურის დაწყებას სულ მალე უნდა ველოდოთ. საგარეო საქმეთა მინისტრმა იქვე განმარტა, რომ საკანონმდებლო ცვლილების წარდგენის შემდეგ პროცესი მეორე დღესვე დასრულდება: „ამ განხილვებმა შეიძლება გასტანოს რამდენიმე თვე. ეს არის ჩვეულებრივი პროცედურა და, შესაბამისად, მოლოდინი არ უნდა იყოს, რომ საკანონმდებლო ცვლილების წარდგენის შემდეგ მეორე დღესვე მოხდება ვიზა ლიბერალიზაცია. გამომდინარე იქედან, რომ არ არსებობს არანაირი კითხვა საქართველოში განხორციელებული რეფორმებისადმი და საქართველოს მზადყოფნისადმი - იყოს სანდო პარტნიორი ევროკავშირისთვის უვიზო მიმოსვლისა და ურთიერთობების კუთხით, ვფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილებაც საბჭოს მიერ მიღებული იქნება მოკლე ვადებში“, - აღნიშნა ჯანელიძემ. თუმცა კონკრეტული თარიღების დასახელებისგან თავი შეიკავა.

საქართველომ ვიზა ლიბერალიზაციის მისაღებად გრძელი და რთული გზა განვლო. ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ემყარება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (PCA), რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს. 2006 წლის 14 ნოემბერში მიღებული საქართველო - ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით (ENP) განისაზღვრა თანამშრომლობის ურთიერთშეთანხმებული პოლიტიკური პრიორიტეტები. გეგმის ის ნაწილი, რომელიც ეხება სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებს (JFS), ქმნის ამ სფეროში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ზოგად სტრუქტურას. 2009 წლის 30 ნოემბერს საფუძველი ჩაეყარა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „პარტნიორობას მობილურობისათვის“ ევროკავშირის 16 წევრი სახელმწიფოს მონაწილეობით. პარტნიორობის მიზანს წარმოადგენდა მხარეთა შორის თანამშრომლობის განმტკიცება შემდეგი მიმართულებებით: ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, განვითარებაში მიგრაციის წვლილის მაქსიმიზაცია, არალეგალური იმიგრაციის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა, თავშესაფრის პოლიტიკა და საერთაშორისო დაცვა. სამომავლო უვიზო მიმოსვლის მიმართულებით გადადგმულ ეტაპობრივ ნაბიჯს წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმებები, რომლებიც ძალაში 2011 წლის 1 მარტს შევიდა.

2006 წლის 1 ივნისიდან ევროკავშირის მოქალაქეებისათვის საქართველოში მგზავრობისას უვიზო რეჟიმი მოქმედებს. ვარშავის სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში 2011 წლის სექტემბერში პოზიტიურად შეფასდა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხებების განხორციელება და ხაზი გაესვა, რომ ამ შეთანხმებების სრულად განხორციელება პირველი ნაბიჯია უვიზო მიმოსვლის მიმართულებით. საბჭოს 2012 წლის 31 მაისის დასკვნაში პოზიტიურად შეფასდა კომისიის ინიციატივა, საქართველოსთან სავიზო დიალოგის დაწყებისა და მის თითოეულ საფეხურთან საბჭოსა და წევრი სახელმწიფოების მჭიდრო დაკავშირების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2012 წლის 3 მაისს, საქართველომ წარმოადგინა განახლებული, დეტალური და ყოვლისმომცველი ანგარიში, სავიზო დიალოგის შესაბამის სფეროებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე. ანგარიში 2012 წლის 16 მაისს გადაეცათ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს საბჭოს ფარგლებში.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის თაობაზე დიალოგი, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლისათვის ყველა შესაბამისი პირობის გადამოწმებას, გაიხსნა 2012 წლის 4 ივნისს, ქ. ბრიუსელში. 2012 წლის 15 ოქტომბერს, საბჭოს დასკვნაში საქართველოს შესახებ, დადასტურებულ იქნა ევროკავშირის მიერ აღებული ვალდებულება უვიზო რეჟიმის შემოღების საერთო მიზნისადმი, გამართული და უსაფრთხო მობილურობის პირობების შექმნის შემთხვევაში. 2013 წლის 25 თებერვალს საქართველოს ხელისუფლებას სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა გადაეცა (VLAP). სამოქმედო გეგმა იმ მოთხოვნებს შეიცავს, რომლებიც ქართულმა მხარემ უნდა შეასრულოს, რათა საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმის დამყარება გახდეს შესაძლებელი. სამოქმედო გეგმა ოთხი ბლოკისაგან შედგება: 1. დოკუმენტების უსაფრთხოება, ბიომეტრული პასპორტების ჩათვლით; 2. საზღვრის ინტეგრირებული მართვა, მიგრაციის მართვა და თავშესაფრის პოლიტიკა; 3. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; 4. საგარეო ურთიერთობები და ადამიანის ძირითადი უფლებები.

ამავე წლის ნოემბერში კომისიამ პირველი ანგარიში გამოაქვეყნა საქართველოს პროგრესზე ვიზა ლიბერალიზაციის დიალოგთან დაკავშირებით, 2014 წლის ოქტომბერში კი მეორე ანგარიში წარადგინა, რომელშიც აღინიშნა, რომ საქართველომ პირველი დონის რეკომენდაციები შეასრულა და მზად იყო მეორე ფაზაზე გადასასვლელად. 2015 წლის 8 მაისს მესამე მოხსენება გამოქვეყნდა საქართველოს მიერ VLAP -ის იმპლემენტაციაზე. 2015 წლის 18 დეკემბერს კი მეოთხე ანგარიში გამოქვეყნდა, რომელშიც ასევე დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ გაწეული სამუშაო.

უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების მთავარი წინაპირობაა საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება. სამოქმედო გეგმის შესრულებისა და შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ევროკავშირის N539/2001 რეგულაციაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების გზით, საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდება. უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ ვიზის გარეშე იმოგზაურონ შენგენის ზონაში, რაც მოიცავს ევროკავშირის 22 ქვეყანას, ასევე, 4 არაწევრ ქვეყანასა (ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია) და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანაში (ბულგარეთი, რუმინეთი, კვიპროსი, ხორვატია). გამონაკლისს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი და ირლანდია, რომლებიც შენგენის ზონაში არ იმყოფებიან. მოკლევადიანი ვიზიტი გულისხმობს 90 დღეს ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში. უვიზო რეჟიმი არ შეეხება ევროკავშირის / შენგენის წევრ სახელმწიფოებში გრძელვადიან ვიზიტებს განათლების მიღების, მუშაობის ან სხვა მიზნით. უვიზო რეჟიმის ამოქმედება საქართველო - ევროკავშირის ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული ნაბიჯი იქნება. შეიძლება ითქვას, რომ უვიზო მიმოსვლა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისთვის არა მხოლოდ სამართლებრივ საფუძვლებს ამზადებს, არამედ მოხდება ქართველების უფრო მეტად ინტეგრაცია ევროკავშირის ქვეყნებთან სამოქალაქო და კულტურულ დონეზე. უვიზო მიმოსვლა კიდევ უფრო გახსნის საზღვრებს, რაც საქართველოს მოსახლეობას საშუალებას მისცემს დაუახლოვდეს ევროპულ ფასეულობებს და გაიაზროს ევროპული ღირებულებები. მოქალაქეები თავადვე შეძლებენ, ევროკავშირსა და ევროპაზე საკუთარი შეხედულებები გადააფასონ, რის შემდეგაც აუცილებლად გაქრება ბევრი მითი და საზოგადოება გაიგებს, რას ნიშნავს, იყო ევროპისა და ევროკავშირის ნაწილი.

საფოსტო მარკების კონკურსი ევროკავშირის თემაზე

სსიპ “ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი” საქართველოს ფოსტასთან ერთად აცხადებს კონკურსს საფოსტო მარკის ესკიზის შექმნაზე, საფოსტო მარკის თემატიკა: საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა.

გამომდინარე იქიდან, რომ 2016 წელი გამოცხადდა ევროპული სახელმწიფოს წლად და ამ წელს გადაიდგმება ძალზედ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით, ასევე 2016 წელს ვზეიმობთ საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავს, როდესაც ჩვენმა საზოგადოებამ ერთხმად აიღო საგარეო პოლიტიკის და ქვეყნის განვითარების ევროპული გეზი, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა და საქართველოს ფოსტამ ერთობლივად გადაწყვიტა საფოსტო მარკის გამოცემა, რაც კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს საქართველოს ევროპული ინტეგრაციისა და ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას. კონკურსის მიზანი საქართველოს საფოსტო მარკების გამოცემის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის ამაღლების ხელშეწყობაა.

საკონკურსო ნამუშევრების მიღების ბოლო ვადაა: 2016 წლის 4 აპრილი, 18:00 საათი.

პროექტის მხარდამჭერები არიან ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში მინისტრის აპარატი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საქართველოს ფოსტა

"გაზპრომსა" და "სოჭარს" შორის მოქცეული ქართული პოლიტეკონომიკა

ბიოჰბი ჩაფიძე

საქართველო აზერბაიჯანიდან დამატებით 500 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს - ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აზერბაიჯანული ენერგოკომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდგომ განაცხადა. პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს სოკართან ურთიერთობების გაღრმავება სურს და ახალი შეთანხმების გაფორმება ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრის შემდგომ გახდა შესაძლებელი. კვირიკაშვილის თქმით, სტრატეგიულ პარტნიორებს შორის თანამშრომლობის გაგრძელების თაობაზე ორაზროვნება არ არსებობდა. აგრეთვე, ენერგოკომპანიის პრეზიდეტმა როვნაგ აბდულაევმა აღნიშნა, რომ სოკარი მზადაა განიხილოს გაზის ფასის შემცირება ყოველ 1000 კუბურ მეტრზე 35-40 აშშ დოლარით. ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის თქმით, მისმა უწყებამ გაზმომარაგების ალტერნატიული წყაროების ძიება იმის გამო დაიწყო, რომ ქვეყნის ბაზარზე ბუნებრივ აირზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება.

მას შემდეგ, რაც სოკარის წარმომადგენლებმა ექსპორტირებული გაზის მოცულობის გაზრდისა და ფასის შემცირების შესახებ განაცხადეს, სხვა წყაროების ძიება საჭირო აღარ არის. გაზის დამატებით მოცულობას საქართველო შაჰდენიზის მილსადენის მეტი დატვირთვის მეშვეობით მიიღებს. კალაძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ ახალი შეთანხმება საქართველო-აზერბაიჯანის კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და საერთო სტრატეგიული ინტერესების ქონის გაცნობიერების ნათელი დემონსტრირებაა.

მთავარ პრობლემებს წარმოადგენდა მილსადენის მიერ გაზის დამატებითი მოცულობის გადაზიდვის შესაძლებლობის არარსებობა და საქართველოში აღნიშნულ ენერგეტიკულ რესურსზე მოთხოვნის მკვეთრი სეზონურობა, განსაკუთრებით კონტრასტი ზამთრისა და ზაფხულის თვეებს შორის. ამ სირთულეების აღმოსაფხვრელად მხარეებმა დიდი ძალისხმევა გაიღეს, რამაც პროცესის რამდენიმე თვით გაწელვა გამოიწვია. კალაძის თქმით, მმართველი პარტიის პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან არაპატიოსანი სქემების გამოყენებას პროცესის დასრულებისთვის ხელი არ შეუშლია. მისი განცხადებით, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ქვეყნებს შორის არსებული საქმიანი ურთიერთობები საკუთარი ინტერესებისა და დემაგოგიისათვის გამოიყენა, თუმცა პროცესის შეჩერება მაინც ვერ შეძლო. მანვე მადლობა გადაუხადა საქართველოს მოსახლეობას, რომელიც არ აჰყვა ყოფილი მმართველი პარტიის პროვოკაციებსა და არაჯანსაღ კრიტიკას.

სოკარის დელეგაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კომპანია საქართველოს ენერგო სექტორში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინვესტორია ბოლო ათი წლის განმავლობაში და ის მოხარულია, რომ ზემოთ ხსენებული შეთანხმება ანახლებს ამ სტრატეგიულ პარტნიორობას. აბდულაევმა ასევე განაცხადა, რომ სოკარი საქართველოს ენერგო ბაზარს სტაბილურად მოამარაგებს. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერსა და ენერგეტიკის მინისტრს მოლაპარაკების დასრულებისათვის გაწეული შრომისათვის.

აბდულაევს მიაჩნია, რომ აზერბაიჯანი გაზრდის საკუთარ ინვესტიციებს საქართველოში, რადგან ეს პარტნიორობა ორმხრივად მომგებიანია. მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებამ საქართველოსთვის გააჩინა შესაძლებლობა, რომ წინ აღუდგეს გაზპრომის ბერკეტებს. კალაძის განცხადებით, რუსულ მხარესთან არსებულ შეთანხმებას იგივე პირობები ექნება მისი განახლების შემდეგ. აქედან გამომდინარე, საქართველო კვლავაც ქვეყნის ტერიტორიის გავლით სომხეთში ტრანზიტით გადატანილი გაზის 10 პროცენტს მიიღებს. გაზის მოცემული თანხით ჩანაცვლება როგორც ეს რუსულ სურდა. ეს პირობები გაზპრომთან უკვე შეთანხმებულია და მას მხოლოდ ხელის მოწერა აკლია.

"ქართული ოცნების" წარმომადგენელმა გია ვოლსკიმ აღნიშნა, რომ ამგვარი შეთანხმებით საქართველო უკეთეს პოზიციაში იქნება მისთვის უპირატესი პირობების დასაცავად რუსულ კომპანიასთან საუბრის პროცესისას. სოკართან ახალი შეთანხმების მიღწევამდე ქართული მხარე განიხილავდა რუსული "ულტიმატუმსა" და კაბალური შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობას, თუკი აზერბაიჯანული კომპანია ვერ მოახერხებდა საქართველოსთვის გაზრდილი ოდენობის გაზის მიწოდებას.

გაზპრომთან შესაძლო შეთანხმების ხელმოწერამ, რომელიც რუსეთის ფედერაციისთვის იქნებოდა მომგებიანი, პროტესტი გამოიწვია ქვეყნის შიგნით და საქართველოს მთავრობას ეროვნული ინტერესების შელახვაში სდებდნენ ბრალს. 6 მარტს გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია "დაიცავი თავისუფლება". პროტესტის მონაწილეები თავისუფლების მოედნიდან რუსეთის საელჩოს შენობისკენ ცოცხალი ჯაჭვით დაიძვრნენ.

რას მოუტანს საქართველოს ეს კონტროვერსიული საკითხი? აშკარაა, რომ ყოფილმა მმართველმა გუნდმა გაზპრომთან ახალი პირობებით შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა „ქართული ოცნების" პრო-რუსულ ორიენტაციაში დასადანაშაულებლად და პოლიტიკური ქულების მისაღებად გამოიყენა. თუკი გაზპრომთან ახალი შეთანხმება გაფორმდებოდა შეცვლილი პირობებით და სარგებლის ანაზღაურება ნატურის ნაცვლად ფულადი საფასურით მოხდებოდა, საქართველო კაბალური შეთანხმების მსხვერპლი იქებოდა მინიმუმ რამდენიმე წლით. დღესდღეობით გაზპრომი საქართველოზე უფროა დამოკიდებული ვიდრე პირიქით, ვინაიდან სომხეთში გაზის ტრანსპორტირებას მხოლოდ საქართველოს გავლით ახორციელებს. შესაბამისად, საქართველოს მთავრობას გარიგების საწარმოებლად რუსეთზე უფრო მეტი კარტი უჭირავს, ვიდრე ეს სოკართან უკანასკნელი შეთანხმების გაფორმების გარეშე იქნებოდა. იმ შემთხვევაშიც, თუ გაზპრომთან ახალი შეთანხმება არ გაფორმდება, ეს საქართველოს იმდენად არ დააზარალებს, რამდენადაც რუსეთის გავლენას სომხეთზე, რაც კრემლს, როგორც ქვეყნაში ენერგორესურსების ერთადერთ ექსპორტიორს, აქვს.

თუკი საქართველო შეთანხმებას აღარ გააგრძელებს ქვეყანა გაზმომარაგების მხოლოდ რამდენიმე პროცენტს დაკარგავს, რაც აზერბაიჯანული გაზით შეიძლება ჩანაცვლდეს. რაც შეეხება რუსეთს, ის აღარ იქნება სომხეთის ენერგო მომმარაგებელი, რადგანაც ერევანი საკმარის გაზს ირანიდან მიიღებს. ეს ნამდვილად არ შედის რუსეთის სამხრეთ კავკასიურ სტრატეგიულ ინტერესებში. 2015 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, როდესაც მინისტრი პირველად შეხვდა გაზპრომის წარმომადგენლებს, 2016 წლის მარტამდე გაზპრომთან ახალი შეთანხმება განხილვის აქტიურ ფაზაში იყო. ამ საკითხმა დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რომელიც ხშირად მთავრობის პრორუსული კურსის შესახებ არსებულ ეჭვებს აძლიერებდა და სავარაუდოდ, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯსაც აზარალებდა. ამ უარყოფითი შედეგების მიუხედავად, სოკართან ამჟამინდელი შეთანხმება საქართველოს უქმნის კომფორტულ პოზიციას რუსულ ენერგეტიკულ გიგანტთან მოლაპარაკებებისას, რაც ქვეყნის ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ უნდა იქნას გამოყენებული.

მიხეილ ჯანელიძე აზერბაიჯანის რესპუბლიკას ოფიციალური ვიზიტით ეწვია

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გაემგზავრა.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვდება.

დაგეგმილია მიხეილ ჯანელიძის პირისპირ შეხვედრა აზერბაიჯანელ კოლეგასთან ელმარ მამედიაროვთან, რის შემდეგაც გაიმართება შეხვედრა გაფართოებული შემადგენლობით.

საქართველოს დელეგაცია, საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით, ასევე შეხვედრებს გამართავს აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრთან არტურ რასი-ზადესთან და მილი მეჯლისის თავმჯდომარესთან ოქთაი ასადოვთან.

საქართველოში უცხოელი ტურისტების ხილვი გაიზარდა

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ბრიფინგი გამართა, რომელზეც საერთაშორისო მოგზაურთა შესახებ უახლოეს სტატისტიკურ ინფორმაციაზე ისაუბრა. მისი განცხადებით, თებერვლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოს, წინა წელთან შედარებით, თითქმის 24 პროცენტით მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია. მათ შორის გაიზარდა იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვი, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში. ეს მონაცემი 19%-ით არის გაზრდილი წინა წლის თებერვალთან შედარებით.

ორი თვის მონაცემებით პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან. მათგან ზრდის კუთხით გამოირჩევა იტალია (+29%), საფრანგეთი (+29%), დიდი ბრიტანეთი (+14%), პოლონეთი (+12%) და გერმანია (+7%).

საქართველოს ვიცე-პრემიერის, დიმიტრი ქუმსისვილის განცხადებით, ესაა შედეგი ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის აქტიური მუშაობის, რომელიც წარმატებით წარმართავს საქმიანობას უცხოეთის მიზნობრივ ბ აზრებზე.

2016 წლის თებერვალში ყველაზე მეტი ვიზიტორის შემოსვლა დაფიქსირდა აზერბაიჯანიდან (+41.9%), თურქეთიდან (+12.2%), სომხეთიდან (+7.5%), რუსეთიდან (+29.2%) და უკრაინიდან (+23.5%). ასევე მნიშვნელოვანი ზრდაა ირანიდან (+80.1%), ბელარუსიდან (+30.3%) და ამერიკის შეერთებული შტატებიდან (+20.5%).

საერთაშორისო მოგზაურების რიცხვის ზრდა დაფიქსირდა 2 თვის მონაცემებითაც. საერთაშორისო მოგზაურების ჯამურმა რაოდენობამ 683,561 შეადგინა, ზრდა კი 13.9%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 236,584 შეადგინა, რაც 11.2%-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე.

2016 წლის მხოლოდ თებერვლის განმავლობაში, წინა წელთან შედარებით, საქართველოს დამატებით ესტუმრა 70,000-მდე საერთაშორისო მოგზაური. ეს გულისხმობს, რომ მხოლოდ გასულ თვეს 42 მლნ ლარამდე დამატებითი შემოსავალი მიიღო ქვეყნის ეკონომიკამ.

2016 წლის იანვარში საქართველოს აეროპორტებიდან რეგულარული და არარეგულარული რეისებით გადაყვანილია 141,843 მგზავრი. აღნიშნული მონაცემი 14,36 %-ით აღემატება 2015 წლის იანვრის მონაცემებს და თითქმის 15 %-ით მეტია 2014 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქართველოს ვიცე-პრემიერმა ისაუბრა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ახალ კომპონენტზე „უმასპინძლე საქართველოში“. პროგრამის ფარგლებში დაინტერესებულ მეწარმეს შეუძლია საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, თბილისისა და ბათუმის გარდა ააშენოს ახალი სასტუმრო, მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოვება/გადაიარაღება, ასევე, გააფორმოს ფრენჩაიზინგის ხელშეკრულება სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორთან და შემოიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე.

სახელმწიფო პროექტს ახალი კომპონენტი - "უმასპინძლე საქართველოში" დაემატა

რეგიონებში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიზნით, სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ახალი კომპონენტი – “უმასპინძლე საქართველოში” დაემატა.

დაინტერესებულ მეწარმეს შეუძლია სახელმწიფოს თანადაფინანსებით, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ააშენოს ახალი სასტუმრო, მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოება და შემოიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე.

„დღევანდელი პროგრამა უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ეს პირდაპირ კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან. ჩვენ გვაქვს ვიზიტორების მზარდი რაოდენობა. უკანასკნელ რამდენიმე თვეში განსაკუთრებით პოზიტიური დინამიკა შეინიშნება და ინფრასტრუქტურამ უნდა აუწყოს ფეხი ამ დინამიკას”, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

ახალი პროგრამა დაეხმარება რეგიონებში მოღვაწე მეწარმეებს, წამოიწყონ საკუთარი საქმე სასტუმრო ინდუსტრიის სფეროში.

10 მარტიდან ახალი შიდა ავიარეისების შესრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ ახალ შიდა ავიამიმართულებებს ამატებს - 10 მარტიდან ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს შესრულდება ავიარეისები ნატახტარი - ქუთაისისა და ქუთაისი - ნატახტარის მიმართულებით.

რაც შეეხება მგზავრობის ღირებულებას, რეისზე ბილეთის ფასი ერთი მიმართულებით ზრდასრულთათვის იქნება 50 ლარი, ბავშვებისთვის - 35 ლარი, ხოლო ჩვილთათვის მგზავრობა უფასო იქნება.

ყოველ ორშაბათსა და პარასკევს შესრულდება ფრენები მესტია - ქუთაისი და ქუთაისი - მესტიის მიმართულებით, ერთი მიმართულებით ბილეთის ფასი ზრდასრულთათვის იქნება 40 ლარი, ბავშვებისთვის - 28 ლარი, ჩვილებისთვის უფასო.

ამჟამად ნატახტარის აეროდრომიდან მესტიის მიმართულებით ხორციელდება რეისები კვირაში 4 სიხშირით (ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას), ბილეთის ფასი ზრდასრულთათვის 65 ლარია, ხოლო ბავშვებისთვის - 45 ლარი (ჩვილებისათვის მგზავრობა უფასოა). 2015 წლის განმავლობაში აღნიშნული რეისით 4,458 მგზავრმა ისარგებლა.

მსჯელობა და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან დიალოგის მედმივმოქმედი ფორმატი იქმნება

გიორგი კვირიკაშვილმა 4 მარტს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ უნდა გამოიყოს საინიციატივო ჯგუფი, ვინც ბიზნესის წინადადებებს და პრობლემებს მთავრობამდე მიიტანს და მთავრობის წარმომადგენლების ჩართულობით ამ საკითხებზე სწრაფი რეაგირება მოხდება.

„ეს გააიოლებს თქვენს ცხოვრებას და ფუნქციონირებას“, - მიმართა პრემიერმა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს.

პრემიერი მიიჩნევს, რომ ხელმწიფომ განსაკუთრებული აქცენტი უნდა გააკეთოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე.

„რა თქმა უნდა, მსხვილი ბიზნესი უმნიშვნელოვანესია და საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუმცა ის ტრადიცია, სულ ცნობადი სახეები ფიგურირებენ მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, უნდა შეიცვალოს და გამდიდრდეს მცირე და საშუ-ალო ბიზნესის წარმომადგენლებით. ეს არის ძალა, სადაც ყველაზე მეტი დინამიკაა, ყველაზე მეტი ზრდის მაჩვენებლებია, დასაქმების თვალსაზრისით ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტორია და ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ არსებულ პრობლემატიკას. ჩვენ მოვედით იმ პრობლემებზე ღიად სასაუბროდ, რომელთა გადაჭრასაც მცირე და საშუალო სექტორისთვის ცვლილებების მოტანა შეუძლია“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ძალიან საჭირო დოკუმენტი შეიქმნა ეკონომიკის სამინისტროს მონაწილეობით, რომელშიც ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც და მთავრობის სურვილია, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების სტრატეგიის შექმნაში მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობა და ჩართულობა იყოს მაქსიმალური.

მთავრობის მეთაურმა ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმაზე ისაუბრა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მეწარმეობის წახალისებაა.

„მეწარმეობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მცირე საწარმოებს და ინიციატორი, დამწყები ბიზნესისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დაფინანსების მოპოვებაში ხელშეწყობას. უახლოეს მომავალში დაიწყებს ფუნქციონირებას დამწყები ბიზნესის დაფინანსების ფონდი, მდიდრდება პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“, იწყება მისი ახალი ქვეპროგრამები, მათ შორის „უმასპინძლე საქართველოში“, რომელიც მცირე სასტუმროების ქსელების წახალისებას ახდენს და დაფინანსების მოპოვების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება. გვინდა, მოვისმინოთ თქვენი წინადადებები, რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას კიდევ, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად წაახალისოს მცირე და საშუალო ბიზნესი“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ასევე ისაუბრა საგადასახადო კოდექსში ცვლილებებზე, რომელიც მოგების გადასახადის გაუქმებას და მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრას გულისხმობს; მთავრობამ დაამტკიცა მთელი რიგი ღონისძიებები გადასახადების ადმინისტრირების გამარტივების კუთხით მთელი.

„მნიშვნელოვანია „სტარტაპის“ დაფინანსება, რათა დამწყებმა ბიზნესმა უზრუნველყოფის გარეშე შეძლოს დაფინანსების მოპოვება და ქვეყანაში დაფინანსდეს ინოვაციური იდეები, საფინანსო ინსტიტუტებში უზრუნველყოფის წარდგენის გარეშე. უმნიშვნელოვანესია მმართველობის კუთხით მომსახურების გამარტივება და ერთიანი „ფრონტ ოფისის“ შექმნა, სადაც მთავრობის მხრიდან ყველა მომსახურება ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი იქნება, ასევე - ინფრასტრუქტურული და რეგიონული განვითარების პროექტები და ჩვენ ამ პროცესში მცირე ბიზნესის ჩართვას მივესალმებით“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას მცირე და საშუალო ბიზნესის 50-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო.

სამართალი

ალექსი პეტრიაშვილის საქმე - პირადი შეღება, პოლიტიკური გაჩრევა თუ პროვოკაციის მსდელობა

რამდენიმე დღის წინ ევროინტეგრაციის ყოფილი მინისტრი, ამჟამად ოპოზიციური პარტიის “თავისუფალი დემოკრატების” აღმასრულებელი მდივანი ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილი საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაჭრეს. თვითმხილველების მონათხრობით, მას ორი პიროვნება დაესხა თავს. ჯერ ფიზიკურად გაუსწორდნენ და თავის არეში ბლაგვი საგნით დაზიანება მიაყენეს შემდეგ კი, ერთ-ერთმა მათგანმა ის იარაღით ქვედა კიდურში დაჭრა. დამნაშავემ 5 ტყვია გაისროლა. აქიდან სამი პეტრიაშვილს მოხვდა, რის შედეგადაც დაზარალებული რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

სასაფლაოზე მომხდარ თავდასხმას საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ პეტრიაშვილის დაჭრა ქვეყანაში გაზრდილ კრიმინოგენულ ვითარებას უკავშირდებოდა, მეორე ნაწილი კი ფიქრობდა, რომ პოლიტიკოსზე განხორციელებული ძალადობა გარკვეული ძალების მიერ ორგანიზებული პროვოკაციის ნაწილი იყო და ქვეყანაში დაგეგმილ დესტაბილიზაციას ემსახურებოდა. საზოგადოებაში მესამე მოსაზრებაც მუსირებდა, რომლის თანახმადაც, თავდასხმის მიზეზი პირადი დაპირისპირება იყო. კერძოდ კი, პოლიტიკოსის დაჭრა შესაძლოა პირდაპირ კავშირში ყოფილიყო მისი მეუღლის, ეკა მიშველაძის ყოფილ მეგობარ მამაკაცთან ბისნესმენ სოსო დოლიძესთან, რომელიც თითქოს პეტრიაშვილზე შურისძიებას ცდილობდა. იმ ეჭვებს, რომ პოლიტიკოსზე განხორციელებული თავდასხმა წინასწარ იყო დაგეგმილი რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთ ტელეარხზე მიშველაძის მიერ გაკეთებული განცხადებაც ამძაფრებს. მაშინ, მიშველაძემ განაცხადა, რომ მასზე და მის მეუღლეზე თვალთვალი ხორციელდებოდა.

სასაფლაოზე მომხდარი შემთხვევიდან კვირაზე მეტი გავიდა, მაგრამ მთავარი შეკითხვა: თუ რა მიზანი ამოძრავებდა მოძალადეს ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. საინტერესოა ისიც თუ რატომ ესროლა მან პეტრიაშვილს კიდურებში: სურდა მოეკლა, მაგრამ მიზანს ააცილა, თუ სურდა შეეშინებინა და მიზანში მოახვედრა. არის თუ არა შესაძლებელი, რომ პეტრიაშვილის დაჭრა წმინდა წყლის პროვოკაცია იყოს და პირდაპირ უკავშირდებოდეს ქვეყანაში დესტაბილიზაციი მცდელობას, მითუმეტეს, რომ ბოლო პერიოდში მომხდარი გახმაურებულმა მკვლელობებმა საზოგადოებაში შფოთვა და დაუცველობის განცდა შემოიტანეს, ამას ერთვის ის ფაქტიც, რომ მედიაში აქტიურად საუბრობენ კრიმინოგენული ვითარების თითქოსდა გამწვავებაზეც, თუმცა არის ისეთი შემთხვევები, რომლებსაც თვალს ვერ ვარიდებთ: „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლის, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა, რომელიც დღემდე ბურუსით არის მოცული; ბესიკ ხარძიანის ჩაცხრილვა საკუთარ სახლთან; იური ვაზაგაშვილის აფეთქება საკუთარი შვილის საფლავზე და რადიო “საქართველოს ხმის” დამფუძნებლის, ვახტანგ კუჭავას მიერ ჩადენილი მკვლელობა თუ თვითმკვლელობა, რომელიც მისი ოჯახის წევრებისთვის ნაკლებად სარწმუნოა.

პოლიტიკოსების შეფასებებს პეტრიაშვილის დაჭრასთან დაკავშირებით საზოგადოების გაოცება მოჰყვა. გამოძიება დღესაც მუშაობს თავდასხმის მიზეზებსა და მოტივებზე, მაგრამ შემთხვევიდან უმოკლედ დროში ოპოზიციის წევრები პეტრიაშვილის დაჭრას პოლიტიკურ შეფერილობას აძლევდნენ. მაგალითად, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ პეტრიაშვილზე თავდასხმა ქვეყანაში სრული განუკითხაობისა და მოქალაქეთა დაუცველობის კიდევ ერთი დასტური იყო. ალასანიამ პეტრიაშვილის დაჭრა მკვლელობის მცდელობად შეაფასა. ანალოგიურად განცხადება გააკეთეს “თავისუფალი დემოკრატების” სხვა წევრებმაც. ნინო გოგუაძის განმარტებით, პოლიტიკოსის დაჭრა პოლიტიკური კლიმატის მაჩვენებელი იყო და მძიმე კრიმინოგენული ვითარებაზე მიანიშნებდა. არავინ საუბრობდა პირად დაპირისპირებაზე და შესაძლო პროვოკაციის მცდელობაზე.

“ობზერვერი” დაინტერესდა თუ რას უკავშირებდნენ უმრავლესობის წარმომადგენლები პოლიტიკოსზე თავდასხმას კრიმინალს, პირად კონფრონტაციას, პოლიტიკურ დაპირისპირებას თუ უბრალოდ პროვოკაციას. კოალიცია “ქართული ოცნების” წევრმა გოგი თოფაძემ გამორიცხა ის ფაქტი, რომ პეტრიაშვილის დაჭრა შესაძლოა პროვიკაციასთან ყოფილიყო დაკავშირებული. მისი აზრით, პეტრიაშვილი არ იყო იმ რანგის ფიგურა, რომ ვინმეს ის პროვოკაციის მოსაწყობად გამოეყენებინა.

“პეტრიაშვილს ვიცნობ, როგორც კარგ ქართველს და კარგ დიპლომატს. იმედი მაქვს, რომ მალე გამოჯანმრთელდება, სამართალდამცავები კი მალე გამოიძიებენ ამ დანაშაულს. ეს ვერაგული საქმე არ უნდა დარჩეს გაუხსნელი. პასუხი უნდა აგოს, ვინც ჩაიდინა დანაშაული. რაც შეეხება პროვოკაციას, ბუკა პეტრიაშვილი არ იყო ის ფიგურა, რომ მის მიმართ ვინმეს პროვოკაცია განეხორციელებინა. ეს არაჰუმანური საქციელი იყო და იმედი მაქვს რომ პროკურატურა ყველაფერს სათანადოდ გამოიძიებს“, - განაცხადა თოფაძემ.

„ობზერვერი“ “თავისუფალი დემოკრატების” წევრს ვიქტორ დოლიძესაც დაუკავშირდა.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა ამჯერად კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ დასკვნებს გამოძიების შემდეგ გააკეთებდნენ. „მოტივებზე მე ვერაფერს გეტყვით. არ ვიცი ამას პოლიტიკური მოტივი ჰქონდა, ეს იყო პროვოკაცია, პირადი თუ სხვა რამ. მოდით დავაცადოთ გმოძიებას. იმედი მაქვს, რომ გამოძიება წინ წავა და მერე შეგვეძლება დასკვნების გამოტანაც”, - განაცხადა დოლიძემ.

მანამ, სანამ გამოძიება დაადგენს თუ რა მიზნით დაჭრეს პეტრიაშვილი, პოლიტიკოსის “ფეისბუქის” პირად გვერდზე ფილმიდან “ბაში აჩუკი” “ბრძოლის სიმღერა” განთავსდა.

მას შემდეგი განცხადება ახლდა თან: “არ გეგონოთ ციებცხელება მაქვს! მალე მწყობრში ვიქნები, მანამდე კი მომესმა ეს ბრძოლის ყიჟინა და რა გავაკეთო! საქართველო გაიმარჯვებს! უკვე გული მიგრ-ძნობს, მეც იქვე ახლოში ვიქნები!”, - ნათქვამია გვერდზე.

რთული სათქმელია, რომელ ბრძოლაზეა საუბარი და ვის წინააღმდეგ აპირებს საქართველო გამარჯვებას, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ სისხლიანი გარჩევის რეალური მიზეზი უმოკლეს დროში გაირვევა მანამდე კი “ობზერვერი” “თავისუფალი დემოკრატების” ლიდერს სწრაფ გამოჯანმრთელებას და პოლიტიკურ ასპარესზე დაბრუნებას უსურვებს.

ტოლერანტობის დამკვიდრების სახელმწიფო პოლიტიკა და ეროვნული უმცირესობების ჩართულობა მდგომარეობა საქართველოში

ირაკლი ფავლენიშვილი

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ახლახანს გამოქვეყნებულ ევროპული კომისიის (ECRI) ანგარიშში დადებითადაა შეფასებული ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სტრატეგიის საფუძველზე მიღებული სამოქმედო გეგმა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს აქტიური მონაწილეობით შეიქმნა. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, სტარტეგია უზრუნველყოფს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების, თანასწორობასა და უმცირესობათა უფლებების დაცვას. კომისია დადებითად აფსებს, აგრეთვე, 2009-2014 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტერგაციის ეროვნულ კონცეფციას, რომლის შემუშავებაში, სხვა უწყებებთან ერთად, იუსტიციის სამინისტროც მონაწილეობდა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ კონცეფცია მიმართულია ეთნიკური უმცირესობების ინტერგაციის გაძლიერებაზე, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. ევროპული კომისია მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით საქართველომ სწორი და ეფექტური ნაბიჯები გადადგა და განსაკუთრებით მიესალმება ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების კუთხით განხორციელებულ აქტივობებს. ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის შესწავლის საქმეში აქტიურადაა ჩართული იუსტიციის სამინისტრო და მისი სამსახურები - სერვისების განვითარების სააგენტო და იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

ქართულ საზოგადოებაში არსებული რეალობა კომისიის დადებითი ანგარიშისგან შორს დგას. საზოგადოების ტოლერანტულობის წინააღმდეგ მეტყველებს ჰომოფობიური, ქსენოფობიური ფონი და ინციდენტები. საქართველოში ეთნიკური და უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით მძიმე მდგომარეობაა. განსაკუთრებით მძიმე დღეში ბოშები არიან, რომელთაც პირადობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ აქვთ, მათ შორის – დაბადების მოწმობებიც. საბუთების არქონა უამრავ პრობლემას ქმნის. მათ არ ეძლევათ სკოლაში სწავლის უფლება და ვერ ხდებიან იმ საზოგადოების ნაწილი, სადაც ისინი ცხოვრობენ. ქართული ენის არცოდნა ელემენტარულ დონეზე კომუნიკაციის პრობლემას ქმნის. ხოლო საბუთების არქონის გამო საქართველოდან მათი ლეგალურად გასვლა და უკან დაბრუნება ვერ ხორციელდება.

არასახარბიელო მდგომარეობაში არიან სომეხი ქართველებიც. მათ მიმართ საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულებაა გავრცელებული. ფრაზას – "შე სომეხო" ადამიანები შეურაცხმყოფელი მნიშვნელობით იყენებენ. რეზონანსი ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს მოქალაქეების ფილიპ ბაბაიანისა და არტურ ოგანეზოვის შემთხვევა. ისინი 2015 წლის 5 აპრილს სამართალდამცავების მიერ პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე იქნენ დაკავებულნი. მოგვიანებით გავრცელდა ვიდეოკადრები, რომელიც ბაბაიანის საათში ჩამონტაჟებული კამერით იყო გადაღებული. ვიდეოში ასახულია თუ როგორ აყენებენ პოლიციელები ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას დაკავებულებს. პოლიციელები, ბაბაიანის თქმით, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ის გახდა ძალადობის მსხვერპლი თავისი ეთნიკური წარმომავლობის გამო.

უნდა ითქვას ისიც, რომ გასულ წლებთან შედარებით მდგომარეობა გაუმჯობესდა და საქართველოში უმცირესობების დისკრიმინაციის ფაქტებმა იკლო, რაც სახალხო დამცველის ანგარიშშიც არის აღნიშნული. კერძოდ, 2009 წლის ნოემბერში საქართველოს კანონში "უმაღლესი განათლების შესახებ" შევიდა ცვლილებები, რითაც გამარტივდა ეროვნული გამოცდების ჩაბარების წესი აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისთვის. აღნიშნულმა ინიციატივამ მნიშვნელოვნად გაზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. 2010 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრაცია რამდენიმე მუსულმანურმა ორგანიზაციამ გაიარა, რაც მათთვის წინა წლებში ძნელად მისაღწევი იყო.

არსებობენ ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც საზოგადოებაში სამართლებრივი და ეკონომიური ინტეგრირების პრობლემა აქვთ. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან უკვე ნახსენები ბოშები, დაახლოებით 1,500 ადამიანი, მოხეტიალე ქურთულენოვანი მოსახლეობა – დაახლოებით 700 ადამიანი, მოლდოველები – დაახლოებით 1,200 ადამიანი და დომები, ბოშათა თემის ერთ-ერთი განშტოება (თუმცა მათ გააჩნიათ დამოუკიდებელი ეთნიკური იდენტობა) – დაახლოებით 500 ადამიანი.

პრობლემაა უმცირესობების პოლიტიკაში ჩართულობაც, რასაც ხაზი ესმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშშიც. „ქართულ ოცნებას" ცხრა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ჰყავდა საარჩევნო სიაში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, პირველი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 39-ე ადგილზე იყო. „ნაციონალურ მოძრაობას" – ეთნიკური უმცირესობის 12 წარმომადგენელი ჰყავდა სიაში, პირველი – 35-ე ადგილზე. დღევანდელ პარლამენტში ეთნიკური უმცირესობის რვა წარმომადგენელია. წინა პარლამენტშიც იგივე რაოდენობა იყო, ხოლო 2004-2008 წლებში – 12 და 1998-2004 წლებში – 16.

გარდა კანონდებლობის დახვეწისა, საჭიროა საჯარო მოსამსახურების ცნობიერების ამაღლება, თუმცა ტრეინინგები საკმარისი არ არის. ამის მაგალითია სამთაწყაროს კონფლიქტი, რომლის დროსაც დატრენინგებული პოლიციელები ჯემალ პაქსაძეს, ხულოს მუფთს სთოვდნენ, რომ სოფელი დაეტოვებინა. ნიგვზიანის შემთხვევაში პოლიციელები თავს არიდებდნენ მკვეთრი ნაჯიბების გადადგმას. არის შემთხვევები, როცა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სასამართლოებში ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს სამართალწარმოება, ხოლო რიგ შემთხვევებში დარღვეულია თარჯიმნის მოთხოვნის უფლება. სახალხო დამცველის ანგარიშში მითითებულია შემთხვევა, როდესაც ომბუდსმენის წარმომადგენელი დაესწრო სასამართლო პროცესს და აღმოჩნდა, რომ თარჯიმანი ფრაგმენტულად თარგმნიდა. განაჩენის არაზუსტი თარგმანი ართულებს სამართლებრივ დავას იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

ზოგადი განათლებისა და ქართული ენის ცოდნის პრობლემა კვლავ მნიშვნელოვანია ეთნიკურ უმცირესობებში. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სკოლამდელი განათლებით 10-15% სარგებლობს. ხოლო 2011 წელს გამოსაშვებ გამოცდებში 39% მოსწავლე ჩაიჭრა, 2009-11 წლებში კი სულ 13-მა მასწავლებელმა გაიარა სერტიფიცირება.

კვლევების მიხედვით, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების 89% უყურებს აზერბაიჯანულ ტელევიზიებს, ხოლო სომხების 81% უყურებს სომხურ ტელევიზიებს. მეორე ადგილას მათთვის რუსულენოვანი ტელევიზიებია, მხოლოდ მესამე ადგილს იკავებს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და სხვა ქართულენოვანი ტელევიზიები. რაც შეეხება ქართულენოვან ტელევიზიებსა და გაზეთებს, კვლევების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების საკითხებს მხოლოდ სამ შემთხვევაში აშუქებენ: როცა ისინი დაკავშირებული არიან კრიმინალთან, მოხსენიებული არიან უარყოფით კონტექსტში, ან მათი რელიგიური დღესასწაულია.

რამდენიმე თვის წინ საქართველოს უნივერსიტეტში მოხდა დაპირისპირება ერაყელ და ქართველ სტუდენტებს შორის. 9 ოქტომბერს ერაყელი სტუდენტები უნივერსიტეტის კამპუსში ერაყული კულტურის დღეს აღნიშნავდნენ, რასაც მოჰყვა ქართველების გაღიზიანება და შეხლა შემოხლა.

სოფელ ნიგვზიანში მუსლიმთა მუქარისა და რელიგიური რიტუალის ჩატარებაში უკანონოდ ხელის შემშლელთა დაუსჯელობამ გამოიწვია იმავე ხასიათის ძალადობრივი ქმედებები საქართველოს სხვა ნაწილშიც.

სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკა ყოველთვის ერთნაირი ხარისხით ვერ ფარავს ეთნიკურ უმცირესობათა ყველა საჭიროებას, ამიტომ პრაქტიკაში რთულია მოიძებნოს ერთგვარი იდეალური ვარიანტი, რომელიც ყველა სფეროს ერთნაირი ხარისხით დაარეგულირებდა, თუმცა სახელმწიფოთა დიდი ნაწილი ესწრაფვის ეთნიკური უმცირესობათა პრობლემები სახელმწიფოებრივი სტრატეგიის პრიორიტეტად დასახონ. მაგალითისთვის, დიდი ბრიტანეთის განათლების დეპარტამენტი 2011-2012 წლებში ახორციელებდა ეთნიკურ უმცირესობათა მიღწევების გრანტის პროექტს 28 (EMAG), რომლის მიზანია იმ მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების რისკების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, რომლებიც ორენოვან სკოლებში სწავლობენ. აღსანიშნავია ასევე, 1998 წლის წერა-კითხვის ეროვნული სტრატეგიის იმპლემენტაციის ფარგლებში განხორციელებული პროექტი „ინგლისური, როგორც მეორადი ენა" (EAL), რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო სფეროში ჩაბმული პირების დატრენინგებას და სამოქმედო გეგმას, რომელიც თითოეული მოსწავლის საჭიროებაზეა მორგებული. მსგავსი პროგრამების ფარგლებში, ქართულ სკოლებში ორენოვან მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მუდმივი კონტროლი და მონიტორინგი შესაძლოა დადებითად აისახოს განათლების ხარისხზე.

საქართველოში ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული ზემოთხსენებული პრობლემების გათვალისწინებით საჭიროა განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს არაქართულენოვან სკოლებში ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, როგორც მშობლიურ, ასევე სახელმწიფო ენასთან მიმართებაში. განათლების სამინისტრომ ექსპერტთა საშუალებით უნდა განახორციელოს შესაბამისი სასწავლო სახელმძღვანელოების შესწავლა და კორექტირება, რათა გამორიცხულ იქნას წიგნებში სიძულვილის ენის, ანტიტოლერანტული, აგრესიის გამომხატველი ნებისმიერი ფრაზეოლოგიის არსებობა. ხელისუფლებამ ასევე უნდა განახორციელოს ის ქმედითი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლობას საჯარო პოლიტიკაში. შესაძლოა ეს განხორციელდეს საარჩევნო სისტემის დახვეწითა და რელევანტური ცვლილებებით. ხელისუფლების ორგანოებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გააქტიურონ თავიანთი მუშაობა და ინფორმაციის მიწოდება ეთნიკური უმცირესობებისთვის, როგორც კომპაქტურად დასახლებულ, ისე მცირერიცხოვან რეგიონებში. მმართველმა ძალამ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით არსებული საკანონმდებლო რეგულაციების ეფექტიანი იმპლემენტაციისა და ხარვეზების გამოსწორების საშუალებით, მისი გაუმჯობესებისათვის.

ახალი ჯამპანია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად

თამარ უმფრიანი

„16 დღე“- ასე ეწოდება აშშ-ს საელჩოს ინიციატივით გამართულ ფოტოგამოფენას, რომელიც ორი კვირის განმავლობაში თბილისის ისტორიის მუზეუმში იქნება წარმოდგენილი. ექსპოზიცია, 16 ქართველი ქალის პორტრეტს მოიცავს, რომლებიც თავიანთი საქმიანობით გენდერული ძალადობისა და უთანასწორობის პრევენციისათვის იბრძვიან. საელჩოს გადაწყვეტილებით, გამოფენა მარტს - ქალთა ისტორიის თვეს ეძღვნება, ფოტოები კი ნოემბერში, გენდერული თანასწორობის კამპანიის ფარგლებშია გადაღებული.

„ჩვენთვის დიდი პატივია მსგავსი ღონისძიების მასპინძლობა. საქმე სამწუხაროდ აქტუალურ თემას, ძალადობას ეხება. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა აქ მყოფ ქალბატონს, რომელიც იბრძვის ძალადობის წინააღმდეგ. ასევე, მადლობა ჩვენს პარტნიორს, ბატონ დემიენს, აქ წარმოდგენილი პორტრეტების შექმნისათვის“, - განაცხადა საელჩოს წარმომადგენელმა პრეზენტაციაზე.

მწერალი, დიპლომატი, იურისტი, სამხედრო მოსამსახურე,- ეს ფოტოებზე წარმოდგენილი ქალბატონების საქმიანობის არასრული ჩამონათვალია. განსხვავებული პროფესიებითა ისინი ერთი პრობლემის გარშემო ერთიანდებიან. პოპულარული ტელე-სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტი, ქეთი დევდარიანი ტელეეკრანიდან ქალთა მიმართ ყოველდღიურ, თითქმის ნორმად ქცეულ პირდაპირ თუ ირიბ, ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ ძალადობაზე საუბრობს. ახალაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი კი, ქალთა ემანსიპაციას გენდერულად სენსიტიური მართლმსაჯულების სისტემის ადვოკატირებით ცდილობს.

თითოეული პორტრეტის მიღმა ძლიერი, დამოუკიდებელი ქალი დგას, თუმცა სოციუმის წევრობა დისკრიმინაციის მცდელობისგან არც მათ იცავს. „როგორც ლესბოსელი ქალი, თავისთავად ზეწოლას ცხოვრების ყველა სფეროში განვიცდი, ვისმენ ჩემსა და ლგბტ თემის მიმართ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს. სახელმწიფო ჩემთვის მნიშვნელოვან საკითხებს ან კანონმდებლობაში არ ასახავს, ან აღსრულების დონეზე არ აქცევს ყურადღებას. 2013 წლის 17 მაისს კინაღამ მომკლეს, ბევრი ჩემი მეგობარი ფიზიკურად დაშავდა, მაგრამ ამისთვის არავინ დასჯილა. ჩემი გამოცდილება მსგავს თემებზე მუშაობის მოტივაციას მაძლევს“, - ამბობს პროექტის მონაწილე ნათია ღვინიაშვილი „ობზერვერთან“ საუბრისას.

პრეზენტაციაზე, ასევე სტამბულის კონვენციის ფარგლებში „ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ისაუბრეს. აღნიშნული კონვენცია 2011 წლიდან მოქმედებს, საქართველო კი, მას 2014 წელს შეუერთდა. კონვენციის რატიფიკაციის მიზნით იუსტიციის სამინისტრომ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შეიმუშავა, რომელიც 20-მდე კანონს ეხება. გათვალისწინებული ცვლილებებით სისხლის სამართლის კოდექსში ახალი მცნება - ადევნება შემოდის. რაც გულისხმობს უკანონო თვალთვალს დაზარალებულისთვის ნებისმიერი სახის არასასურველ კომუნიკაციას, რომელსაც სისტემური სახე აქვს და შეიცავს მუქარას ან შეურაცხყოფას. მსგავსი დანაშაულისთვის მაქსიმალურ სასჯელი ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა. ამ ცვლილების ამოქმედების შედეგადად განხილულ იქნება პროკურატურის მიერ ასობით დაზარალებულის განაცხადი, მოძალადე კი - დასჯილი.

აღნიშნული ცვლილებებით სამართლებრივად ქალი არა მხოლოდ ოჯახში, არამედ მის გარეთაც დაცული იქნება. თუ მოქმედი კანონით უფასო იურიდიული კონსლუტაციითა და დროებითი თავშესაფრით სარგებლობა მხოლოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს აქვს, ახალი რეგულაციით, ეს პირობები ნებისმიერ ქალზე გარცელდება.

ახალი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გაუპატიურების მსხვერპლი ქალების პრობლემების დღის სინათლეზე გამოტანას, რადგან აქამდე საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლას მათი ფინანსები და რეპუტაცია ერთნაირად ეწირებოდა.

მნიშვნელოვან დამატებად უნდა მივიჩნიოთ, ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის დამნაშავის სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდების ვალდებულების დაწესება. აქამდე, კანონში მსგავსი მექანიზმის არარსებობა ზრდიდა ქალის ხელახლა მსხვერპლად ქცევის ალბათობას.

ცვლილების თანახმად, კი საპატიმროს ადმინისტრაცია ვალდებულია დამნაშავის განთავისუფლებამდე სამი თვით ადრე ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს საუბნო პოლიციას, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია აღნიშნული დაზარალებულს ამცნოს.

კანონში მსგავსი მექანიზმების ჩადებით ძალადობასთან ბრძოლის რეალური, ეფექტური შანსი ჩნდება. საქართველოს განვითარებულ ქვეყნებში წარმატებით დატესტილი ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობა აქვს. პოსტ-საბჭოთა პოლონეთის მთავრობა ქალთა დისკრიმინაციის თემით სულ რამდენიმე წელია დაინტერესდა, მაგრამ უკვე მოახერხა ეფექტური მექანიზმების შექმნა, რაც ქართულ საკანონმდებლო სისტემას ჯერ კიდევ აკლია. ჩვენს ქვეყანაში ძალადობის შემთხვევებზე ოჯახში გამოძახებისას პოლიციელები დამოუკიდებლად მუშაობენ. ეს არაეფექტურია და ხშირად უარყოფითადაც მოქმედებს მსხვერპლზე, რადგან ერთჯერადი შემოწმების შემდეგ, პოლიცია მათზე დაკვირვებას არ განაგრძობს. უფლებათა დაცვის მხრივ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება თუ საქართველო ევროპული ქვეყნების გამოცდილებას გაიზიარებს და აპრობირებულ პრაქტიკას დაამკვიდრებს. მაგალითისთვის, პოლონეთში მსგავს საქმეებზე, სამართალდამცავებთან ერთად სპეციალური სამსახური მუშაობს, რომელიც ამ პრობლემის მქონე ოჯახებს პერიოდულად შეისწავლის და მათთვის რეაგირების ინდივიდუალურ გეგმას ადგენს.

2014 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსტეტში ყოფილი ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის ფაქტი ალბათ არ მოხდებოდა, პოლონეთის მსგავსად საქართველოშიც რომ არსებობდეს ელექტრონული სამაჯური, რომელიც ორდერის გამოწერის შემდეგ მოძალადეს გადაეცემა. მსხვერპლთან დასაშვებ დისტანციაზე ახლოს მიახლოვებისას კი შეტყობინება იგზავნება, როგორც მასთან, ასევე პრობაციის სამსახურთან.

საბოლოოდ ორმხრივი თანამშრომლობით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით და მთავრობის დაინტერესებით შესაძლოა შეიცვალოს ის შემაშფოთებელი სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც 2013-2014 წლების ექვს თვეში ოჯახური ძალადობის მსხვერპლი 372 ქალი იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა ძალადობის პრევენცია ვრცელდება ყველა სფეროზე, ოჯახსა და მის გარეთ.

„გაუმჯობესდა დაცვის და თავდაცვის მექანიზმები. ბევრმა ქალმა იცის რა არის ძალადობა და დისკრიმინაცია და თავადაც ახერხებს თავის დაცვას ან დახმარების თხოვნას. ჩვენი გაძლიერება ხდება პრობლემებზე ღიად საუბრით და საბოლოო ჯამში იმის აღქმით, რომ ქალი არ არის მეორეხარისხოვანი, რომ მას არა მხოლოდ შეუძლია, არამედ უნდა მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა, ძალადობისა და დისკრიმინაციის შემცირების ერთ-ერთი წინაპირობაა“, - ამბობს ნათია ღვინიაშვილი.

თბილისის ისტორიის მუზეუ-მის ადმინისტრაცია „ობზერვერთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან ნებისმიერი სახის, ნებისმიერ სქესზე განხორციელებულ ძალადობას. რაც შეეხება ფოტოგამოფენას, ის ერთი კვირის განმავლობაში დარბაზში იქნება წარმოდგენილი, შემდეგ კი ნამუშევრები მუზეუმის შიდა აივანზე გამოიფინება.

ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს აქცია "პოლიტიკა SHE" გაიმართება

ქალთა მოძრაობა უერთდება 8 მარტის აღნიშვნას და ქალების პასიური საარჩევნო ხმის უფლებას (უფლება იყო არჩეული) მოითხოვს.

„დღეს საქართველოში ქალები არ ვმონაწილეობთ ქვეყნის მართვაში. ჩვენ არ ვართ პოლიტიკაში, რადგან ჩვენ არ ვართ საარჩევნო სიებში. პარტიულ სიაში მოხვედრა არც განათლებაზეა დამოკიდებული, არც გამოცდილებაზე და არც პრინციპულობაზე. პოლიტიკური პარტიები საარჩევნო სიებს დემოკრატიული პრინციპების დაცვის გარეშე ადგენენ და პოლიტიკის გარეთ ტოვებენ ქალებს“, - ნათქვამია განცხადებაში.

გასულ წელს ქალთა მოძრაობა ითხოვდა სავალდებულო კვოტებს - საარჩევნო სიის შედგენის კანონით დარეგულირება, რომელიც უზრუნველყოფდა ქალების 25% წარმომადგენლობას პარლამენტში. წელს, მოძრაობა ითხოვს, რომ საქართველოს პარლამენტმა კენჭი უყაროს კვოტების კანონ-პროექტს.

„ჩვენ გვინდა, ვიცოდეთ, რომელი დეპუტატი დაუჭერს მხარს კვოტებს - გვინდა ვიცოდეთ, ვის მივცეთ ხმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში“, - აცხადებენ აქციის ორგანიზატორები.

აქცია დაგეგმილია 8 მარტს, 16:00 საათზე, პარლამენტის ყოფილი შენობის წინ. აქციაზე სიტყვით გამოვლენ ქალთა უფლების დამცველი აქტივისტები და კვოტების მხარდამჭერი პოლიტიკოსები.

აქციას მუსიკით მხარს დაუჭერენ ქეთათო, ერეკლე დეისაძე და ნინა სუბლატი.

ორგანიზატორები აქციის მონაწილეებს ცხელი სასმელებით გაუმასპინძლდებიან. დარიგდება სამახსოვრო საჩუქრები და შეგროვდება შემოწირულობები, რომელიც გადაერიცხება ფონდს ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად.

ახალი ჰეფოჰმეგი საგზაო პოლიციმეგის პოლისპი

ნატა ბინაძე

საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოში არ არსებობს დამოუკიდებელი პასუხისმგებელი უწყება და არც სახელმწიფო გეგმა თუ სტრატეგია მოგვეპოვება. იგი ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ დარგად ითვლება. გატარდა სხვადასხვა პრევენციული სახის ღონისძიებები, გამკაცრდა სანქციებიც, თუმცა რეალობა ყოველ წელს უფრო და უფრო მეტად მძიმდება.

გაზრდილი ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა ფაქტები, მოძრაობის წესების მასიური დარღვევები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმიუწვდომლობა, ძველი ავტოპარკი, გადატვირთული მოძრაობა დედაქალქში, მუდმივი საცობები, ჰაერის დაბინძურება და საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობა, - ეს ის გამოწვევებია, რაც ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში მწვავედ იჩენს თავს.

ბოლო სამი წლის განმავლობა-ში საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობის მზარდი ტენდენცია შეინიშნება, შესაბამისად, იზრდება ავტოავარიების დროს დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობაც. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 602 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 9187 - დაშავდა. ოფიციალური მონაცემებით, გასულ წელს 6 432 რეგისტრირებული საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რაც 440-ით აღემატება 2014 წლის მონაცემებს. დაღუპულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 91-ით გაიზარდა და 602 შეადგინა, 651-ით გაიზარდა დაშავებულთა რაოდენობაც. სტატისტიკის თანახმად, 2015 წელს დაღუპულთა შორის 160 ქვეითი, ხოლო დაშავებული კი 1 998-ია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა დედაქალაქში. გასულ წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად თბილისში 90 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 3 834 – დაშავდა. შსს-ს ცნობით, დაღუპულებს შორის 43 ქვეითი და დაშავებულებს შორის 1 305 ფეხით მოსიარულეა.

საგზაო მოძრაობის დასარეგულირებლად, საქართველოში პატრულირების ამერიკული მოდელი მოქმედებს, რომელიც პოლიციის ხილვადობის პრინციპს ეფუძვნება. მოდელის თანახმად, რაც მეტია პოლიციელთა რაოდენობა, მით ნაკლები დანაშაული ხდება, რადგან პატრულის დანახვა დამნაშავეებზე პრევენციული სახის გავლენას ახდენს. აღნიშნული მოდელი საქართველოში ეფექტური არ აღმოჩნდა, რადგან, სადაც მაკონტროლებელი კამერა და საპატრულო ეკიპაჟი არ არის, მოქალაქე მოძრაობის წესებს თამამად არღვევს.

პასუხისმგებლობა მოძრაობის წესების დარღვევაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკისრება. თუმცა, გასათვალისწინებელია საზოგადოების კულტურა და მენტალიტეტიც. მოქალაქეები პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან საგზაო მოძრაობის რეგულაციებს და თითოეული დარღვეული წესით საკუთარსა და სხვის სიცოცხლეს საავარიო რისკის ქვეშ აყენებენ. ამ რისკს კიდევ უფრო მეტად ზრდის მართვის მოწმობის აღების მარტივი სისტემა.

გარდა მძღოლებისა სერიოზულ საფრთხეს ქმნიან ქვეითებიც. საზოგადოება არ სარგებლობს მიწისქვეშა გადასასვლელებით და ხიდებით. საბოლოოდ კი, გზის დამოკლების მცდელობა ფატალური შედეგებით სრულდება. აღნიშნულ დარღვევაზე ჯარიმა 10 ლარს წარმოადგენს, თუმცა მოქალაქეები მაშინ ჯარიმდებიან, როცა პატრულის თვალწინ გზას უკანონოდ კვეთენ.

ქვეყანაში კრიმინალური დანაშაულის, მკვლელობის დროს საზოგადოებას მთავრობისა და სამართალდამცავების მიმართ პროტესტი უჩნდება, ხოლო ავტოავარიას აღიქვამენ, როგორც გარდაუვალ ფაქტს, რომლის თავიდან აცილებაც შეუძლებელი იყო. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, შალვა ხუციშვილი ამბობს, რომ საზოგადოებაში სამინისტროს სანქციებს ყოველთვის უარყოფითი ემოციები მოჰყვება და ისინი თუნდაც ღვედის გამოყენების აუცილებლობას არაპროპორციულ სიახლედ მიიჩნევენ, არ ეთანხმებიან სანქციებსაც.

საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის თემას ხშირად იყენებენ მანიპულირების თემად პოლიტიკოსებიც. გელა კვაშილავა, ფონდ „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ დამფუძნებელი ამბობს, რომ ამის მიზეზი მხოლოდ მოსახლეობის ფართო ფენასთან ქულების დაწერა და ამომრჩევლების მოზიდვაა. მისივე თქმით, კანონმდებლობა უნდა დაიხვეწოს და ამაზე უნდა შეთანხმდეს ყველა განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა.

საგზაო მოძრაობის მთავარი გამოწვევები საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმიუწვდომლობა და დედაქალაქში გაზრდილი მანქანების რაოდენობაა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სიმცირის გამო, მოქალაქეთა ნაწილი იძულებულია სამსახურში საკუთარი მანქანით იაროს. შესაბამისად, გაიზარდა მანქანების რაოდენობაც და პიკის საათებში თბილისის უმეტეს ქუჩებში მოძრაობა ყოველთვის გადატვირთულია.

ქვეყანაში ყოველ წელს რეგისტრირებული მანქანების რაოდენობა 10-12%-ით იმატებს. დაბალი ფასის გამო გაიზარდა მოთხოვნა იაპონურ მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე, რომლებიც ქვეყნის ინფრასტრუქტურის გამო, არც ისე უსაფრთხოდ ითვლება. გელა კვაშილავა ამბობს, რომ გასულ წელს საქართველოში 85 000 ავტომობილი შემოვიდა, აქედან 45 000 - იაპონიიდან. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარჯვენასაჭიანი მანქანების საქართველოში რეგისტრაცია აკრძალა. კვაშილავა გადაწყვეტილებას მართებულად მიიჩნევს და ამბობს, რომ მსგავსი ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში ხუთი წლის შემდეგ საქართველოში 60-70% მარჯვენასაჭიანი მანქანები იქნებოდა და დღის წესრიგში ინფრასტრუქტურის გადაკეთების საკითხი დადგებოდა, რაც, თავის მხრივ, ასეულობით მილიონი დოლარის ხარჯებათანაა დაკავშირებული.

მომრავლებული ატომობილების გამონაბოლქვი ქვეყანაში ჰაერის დაბინძურების დონეზეც აისახება. გარემოს დაცვის სამინისტროს მიხედვით, 2015 წელს თბილისში ჰაერის დაბინძურების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისის ცენტრალურ ქუჩებში (ვაკე - საბურთალოს რაიონი, თავისუფლების მოედანი და ა.შ.) დაფიქსირდა.

არასაკმარისია ასევე პარკირების ადგილები, შედეგად ყოველი თავისუფალი ტროტუარი მანქანების სადგომადაა გამოყენებული. მალხაზ ჭანტურიძე, თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოადგილე ამბობს, რომ მერიამ თბილისის გარკვეულ ადგილებში პარკირება გააუქმა, თუმცა აკრძალულ ადგილებზე მანქანების გაჩერება მაინც შენარჩუნდა, რაც დამატებით პრობლემას ქმნის ფეხით მოსიარულეთათვის. გარდა ამისა, ქალაქში არ არსებობს ველოსიპედით გადაადგილების ხელსაყრელი პირობები, ერთი მხრივ, პრობლემატურია თბილისის რელიეფური მდებარეობა, მეორე მხრივ კი, ქალაქში ველობილიკების უქონობა.

თბილისის ქუჩებში, სადაც ე.წ. ზებრა გადასასვლელებია, მანქანის მძღოლები ფეხით მოსიარულეებს გზას არ უთმობენ მაშინ, როცა ეს კანონით დაკისრებული მათი პირდაპირი ვალდებულებაა. თუმცა ეს პროცესი ისევ მოსახლეობის სამოქალაქო თვითშეგნებაზეა დამოკიდებული.

,,ძალიან ხშირად შემოდის თხოვნა ქვეითების მხრიდან, რომ დავაყენოთ კიდევ ერთი შუქნიშანი ფეხით მოსიარულეთათვის. ყველამ კარგად იცის, როგორი სახის საცობებია ქალაქში და კიდევ რამდენიმე შუქნიშანი უფრო გაამწვავებს ისედაც სავალალო მდგომარეობას თბილისის ქუჩებში", - აღნიშნავს ჭანტურიძე. ამის საპირისპიროდ, გელა კვაშილავა მიიჩნევს, რომ შუქნიშნების დამატება ქვეყანაში აუცილებელია, სწორედ სამოქალაქო თვითშეგნების დაბალი კულტურის გამო. მისივე თქმით, რაც უფრო მეტი შუქნიშანი იქნება ქალაქში, მით უფრო აღარ დაირღვევა კანონი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, თბილისის მერია და ფონდი პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად სხვადასხვა პრევენციულ საკითხებს ამუშავებენ. საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების კუთხით, შინაგან საქმეთა სამინისტრო განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობს და უახლოეს მომავალში 30-მდე სკოლაში 112-ის სამსახურის სპეციალური კურსი დაიწყება. შალვა ხუციშვილის თქმით, სავარაუდოდ სექტემბრიდან ბავშვები საგზაო და სხვა უსაფრთხოების შესახებ მოისმენენ ინფორმაციას. მისივე თქმით, სოციალური რეკლამების კუთხითაც აქტიურად მიდის სამუშაოები, რაც საბოლოოდ გაზრდის საზოგადოების ინფორმირებულობის დონეს საგზაო წესების დარღვევის შესახებ. თუმცა ხუციშვილი აღნიშნავს, რომ მხოლოდ სოციალური რეკლამით ეს პრობლემა ვერ აღმოიფხვრება, საჭიროა კომპლექსური მიდგომა, როგორც ცნობიერების ამაღლების კუთხით, ასევე მკაცრი ადმინისტრირების გამოყენებით.

სავარაუდოდ მერიის მიერ დედაქალაქში ახალი ავტობუსების შემოყვანა მნიშვნელოვანი პროგრესი იქნება, რაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემაზეც დადებითად აისახება და გაზის საწვავის მოხმარების შედეგად ჰაერსაც ნაკლებად დააბინძურებს.

,,ჯერ მხოლოდ 175 ავტობუსი ჩამოგვყავს, თუმცა წელს უკვე დაგეგმილია კიდევ 700-800 ახალი ავტობუსის შეძენა. ეს გარკვეულ ქუჩებში მანქანების რაოდენობას შეამცირებს, რადგან საზოგადოების ნაწილი კომფორტულ ავტობუსში გადაჯდება", - აღნიშნავს ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოადგილე.

ამასთან, ცენტრალურ უბნებში შეიქმნება 10 საპარკირე ადგილი და მოგვარდება პარკირების პრობლემაც. მისივე თქმით, ზაფხულის ბოლოსკენ აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით, „ავტობუსის ხაზის“ სისტემაც შეიქმნება, რომლის საშუალებით გზის გარკვეულ მონაკვეთზე გასვლა მხოლოდ ავტობუსს შეეძლება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კონკრეტულ ქუჩებში მანქანების რიცხვის შემცირებას. ასევე მნიშვნელოვან ცვლილებას გამოიწვევს უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მეტრო სადგურის მშენებლობის დასრულდება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ უწყების მიზანი დროის მოკლე ვადაში სიკვდილიანობის შემცირება და უფრო ეფექტური რეგულაციების შემუშავებაა. გრძელვადიან პერსპექტივაში კი საჭიროა რისკ ჯგუფის შემცირება, რისთვისაც მეტმა მანქანამ უნდა გაიაროს ტექნიკური დათვალიერება. შეიქმნება ქვეითი პატრულების სისტემა, რომელიც ბევრ მიმართულებას დაფარავს.

,,ჯერ-ჯერობით, მხოლოდ 50-მდე ქვეითი პატრულია თბილისის მასშტაბით, რომლებიც განთავსებულნი არიან სკოლებთან ან ისეთ ადგილას, სადაც გადაადგილების პრობლემაა, შუქნიშანი არ არის და ა.შ. წლის ბოლომდე ქვეით პატრულთა რაოდენობა საკმაოდ გაიზრდება, ასევე მოიმატებს კამერების რაოდენობაც", - აღნიშნავს ხუციშვილი.

„პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ დამფუძნებელი, გელა კვაშილავა ხელისუფლებას ჰაერის დაბინძურების დონის გასაზომად სენსორული აპარატების შემოტანას სთავაზობს. ის ასევე პატრულის შესახებ ტელეგადაცემის შექმნის ინიციატივით გამოდის და აცხადებს, რომ მსგავსი აქტივობა ხელს შეუწყობს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას იმ მიმდინარე რეფორმებსა და გამოწვევებზე, რაც ქვეყანაში ხდება.

საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის თემაზე სამთავრობო უწყებები სხვადასხვა კუთხით მუშაობენ, თუმცა საჭიროა ამ საკითხში საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობაც. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი წინსვლაა ისიც, რომ გაზრდილ ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა ფაქტებისა და მოძრაობის წესების დარღვევების ნაწილს ქვეითი პატრულები გააკონტროლებენ. ისინი გზის სწორად გადაკვეთაში ფეხით მოსიარულეებსაც დაეხმარებიან. სიახლეთა ძალაში შესვლის ვადებიც გასათვალისწინებელია, მაშინ, როცა ავტოსაგზაო შემთხვევები მხოლოდ დედაქალაქში არ ფიქსირდება და სიკვდილიანობის დონე საკმაოდ მაღალია. გადაუჭრელ პრობლემად რჩება ავტოპარკინგი და ჰაერის დაბინძურების მაღალი დონე. კომპლექსური შედეგი არ დადგება, თუ საგზაო მოძრაობასა და ტრანსპორტირებაზე სახელმწიფო გეგმა არ შემუშავდება. ამისთვის კი უპრიანი იქნება ერთი მთლიანი უწყების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო რეგულაციებსა და მათი შესრულების მექანიზმების ამოქმედებას.

3 მარტი საქართველოში - ახალი ინიციატივები დედის დღესთან დაკავშირებით

ეკა ფხოველიშვილი

დედის დღესთან დაკავშირებით, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე, რომელიც ასევე ქვეყანაში დემოგრაფიულ მიმართულებას ხელმძღვანელობს, მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის განსაზღვრის ინიციატივით გამოვიდა.

„მსურს, დედის დღე მივულოცო საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა დედას. გვჭირდება რაც შეიძლება მეტი მრავალშვილიანი ოჯახი. სამწუხაროდ, ქვეყანაში, სადაც დემოგრაფიული პრობლემები მძვინვარებს, მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი განსაზღვრული არ არის. დღეს არ არსებობს ერთი სტანდარტი. მაგალითად, სხვადასხვა სამინისტროს 3 შვილიანი ოჯახები ჰყავთ მიჩნეული მრავალშვილიან ოჯახებად და შესაბამისი პროგრამებიც მათთვის მოქმედებს, მაგრამ თვითმმართველობები გადაწყვეტილებებს ინდივიდუალურად იღებენ და მრავალშვილიანებად 3, 4, 5 ან მეტშვილიან ოჯახებს მიიჩნევენ. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ერთიანი სტანდარტი, თუ რამდენშვილიანი ოჯახი ითვლება მრავალშვილიანად," - განაცხადა ხუნდაძემ.

მისი თქმით, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის განსაზღვრაზე მუშაობს, თუმცა შეფერხებას იწვევს საყოველთაო აღწერის შედეგები, რის საფუძველზეც უნდა დადგინდეს რამდენი შვილის შემთხვევაში მიიჩნევა მშობელი მრავალშვილიანად.

მსგავსი ინიციატივა მარტოხელა დედის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა რამდენიმე წლი წინ გააჟღერა. იგი ხაზს უსვამდა მარტოხელა დედების წვლილს, რომელთაც მარტომ იკისრეს შვილის აღზრდა-განვითარებისათვის ზრუნვა სახელმწიფო დახმარებისა და საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე. გაბატონებული სტერეოტიპული შეხედულებების გამო კი საქართველოში მარტოხელა დედები ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი.

„სრულიად საქართველოს ვულოცავ დედის დღეს, რომელიც პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვის დღეა. განუზომელია დედების წვლილი მომავალი თაობების აღზრდა - განვითარებაში და მნიშვნელოვანია, ყველა ჩვენგანმა გავითავისოს, რომ ეს თანამაბარი პასუხისმგებლობაა როგორც მშობლების, ასევე სახელმწიფოსათვის", - განაცხადა სახალხო დამცველმა თავის მიმართვაში.

მან ხაზი გაუსვა ქვეყანაში ქალთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერულ უთანასწორობას. არსებული გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებული საჭიროებები დედებს გააჩნიათ, რომელთაც მავნე პრაქტიკის გამო, ხშირად მარტოს უწევთ შვილების აღზრდაზე ზრუნვა. შესაბამისად, მათი მხარდამჭერი და უფლებების დამცველი სახელმწიფო უნდა იყოს. მძიმე ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გამო დახმარება ესაჭიროებათ მრავალშვილიან დედებსაც.

დედის დღე, რომელიც ქალთა წვლილის პატივისცემისა და მათი დაფასების მიზნით, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დააწესა, მხოლოდ მილოცვების დღესასწაულად არ უნდა რჩებოდეს. იმისთვის, რომ ქვეყანაში ყველა დედას ამ დღეს მაინც საზეიმო განწყობა ჰქონდეს, მათზე მზრუნველობაა საჭირო.

სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორად გააზრებას და ახალი ინიციატივების ამოქმედების შედეგად გაზარდოს მათი როლი საზოგადოებაში.

გარდა ამისა, ხელისუფლების მუდმივ საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, რადგან თანაბარი უფლებები ყველაზე დიდი მონაპოვარია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

საქართველოში არსებული მწვავე დემოგრაფიული პრობლემის პარალელურად, სახელმწიფოს მხრიდან უპრიანი იქნება შესაბამისი სოციალური სერვისების ამოქმედება და ცალკეულ სფეროებში დაგეგმილი ინიციატივების ერთობლივად ამუშავება, რაც ერთი მხრივ, არსებულ მდგომარეობას გააუმჯობესებს და მეორე მხრივ, ქვეყნის დემოგრაფიასაც დადებითად წაადგება.

მართალია, დიმიტრი ხუნდაძემ თავის მიმართვაში ისიც აღნიშნა, რომ „სახელმწიფო მრავალშვილიან დედებზე ზრუნვას პრიორიტეტად აცხადებს", თუმცა მოიტანს თუ არა აღნიშნული ინიციატივები რეალურ შედეგებს, ამას უკვე დრო და მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისთვის გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა გვიჩვენებს. აღსანიშნავია, რომ დედის დღეს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და სათავეს ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში იღებს, თუმცა მისი დღესასწაულად ჩამოყალიბება თანამედროვე ეპოქას უკავშირდება.

საქართველოში პირველი პრეზიდენტის გადაწყვეტილება 1991 წელს უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც 3 მარტი ოფიციალურ უქმე დღედ გამოცხადდა.

სხოვრება "შეჭრილების" სტატუსით

ბვანსა სილიჯაშვილი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით, საქართველოში 169 000 სოციალურად დაუცველი ადამიანია აღრიცხული. მათ შორისაა სოციალურად დაუცველი 32 ოჯახი, რომელთა საცხოვრებელიც დღეს ყოფილი 68-ე სკოლის ავარიული შენობაა.

აღნიშნული შენობა ეკონომიკის სამინიტროს ბალანსზეა. თუმცა განათლების სამინისტროს ექსპერტების დასკვნით, მისი სკოლის შენობად გამოყენება სახიფათოა. ამის გამო სამი წლის განმავლობაში იგი უფუნქციო და ცარიელი იყო. თუმცა უკვე მეოთხე წელია უსახლკაროდ დარჩენილთა თავშესაფარი გამხდარა.

შესვლისთანავე თვალში მოგხვდებათ აყრილი პარკეტი, ჩამსხვრეული მინები, საღებავჩამოცვენილი დამსკდარი კედლები, რომლებზეც ჩამოსული წვიმის კვალია დამჩნეული. ყოფილი საკლასო ოთახებიდან კი, ბუხრის კვამლი გამოდის.

„ობზერვერთან" საუბრისას ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა, ყოფილმა ვეტერანმა გია ბერიძემ აღნიშნა, რომ მათი მთავარი პრობლემა ბუნებრივი აირის და „თელასის" აბონენტებად აღრიცხვაა. ამის უფლებას კი ეკონომიკის სამინისტრო არ იძლევა და დღემდე სკოლის მკვიდრნი გაზის გარეშე ცხოვრობენ.

„მეოთხე წელია აქ ვცხოვრობ. უსახლკაროთა ნაწილმა ოთახები ვაგზალზე ყოფილ სამშობიაროში დაიკავა. ადგილი ყველას არ ეყო, ამიტომ ნაწილი ამ ცარიელ შენობაში შემოვედით. 600 ლარამდე ელექტროენერგიის დავალიანება თავად დავფარეთ. თუმცა იმის გამო, რომ აბონენტები არ ვართ, ერთი საერთო მრიცხველი ეზოში გვიყენია. გადასახადის გადანაწილებაზე კი სამეზობლოში ხშირად კონფლიქტია. არც გაზი გვაქვს, ბუხრით გვიწევს გათბობა. მიუხედავად იმისა, რომ გაზის მილები შენობაში შემოყვანილია, ოთახებში შეყვანის უფლებას ეკონომიკის სამინისტრო არ გვაძლევს, განსხვავებით ვაგზლის სამშობიაროში მაცხოვრებლებისგან ", - განაცხადა ბერიძემ.

ვაგზლაზე არსებული ყოფილი სამშობიაროც ეკონომიკის სამინისტროს კუთვნილებაშია. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით „ობზერვერი" ეკონომიკის სამინისტროსაც დაუკავშირდა. მათ ქონების მართვის სააგენტოსთან გადაგვისამართეს, თუმცა მათთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა.

„შეჭრილებმა" წყალი და საპირფარეშო საკუთარი სახსრებით გააკეთეს. ავარიულ კედლებსა და ჩამომავალ წვიმას კი, ვერაფრით შველიან. გია ბერიძის თქმით, დახმარება არაერთხელ ითხოვეს, თუმცა უშედეგოდ. „ეკონომიკის სამინისტროსთან მიმართვამ რომ არ გაჭრა, შუამდგომლობა დეპუტატ ჯაბა ჯიშკარიანს ვთხოვეთ. მანაც უარი გვითხრა და კაბინეტის დატოვება მოგვთხოვა", - აღნიშნავს ბერაძე.

საუბარში მისი ხანშიშესული დედაც ჩაერთო, რომელმაც კიდევ ერთ პრობლემაზე, სოციალური დახმარების მიღებაზე აღნიშნა და განაცხადა, რომ შემოწმებაზო მოსული სოციალური მუშაკები მაღალი შეფასების ქულებს აძლევენ, რის გამოც ისინი დახმარების გარეშე რჩებიან.

მაცხოვრებლების განმარტებით, შენობაში იმის გამო შევიდნენ, რომ ის კერძო საკუთრებას არ წარმოადგენს და სახელმწიფოს კუთვნილებაშია. მერიის განცხადებით კი, მათ კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე დაიკავეს სახელმწიფო ქონება, შესაბამისად, სამართლებრივად აღნიშნულ პირებზე ბუნებრივი აირის შეყვანის უფლება ვერ გაიცემა. თავის მხრივ, 68-ე საჯარო სკოლის უმრავი ქონებით სარგებლობის უფლების გადაცემას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც ითხოვს.

ყოფილი 68-ე სკოლის მაცხოვრებლებისგან განსხვავებით, სოციალურ დახმარებას გუდამაყრის 2 ნომერში მდებარე ყოფილ კარდიოლოგიურ შენობაში შესახლებული ადამიანები ვერ იღებენ. ამის მიზეზი კი 2013 წელს სახელწიფოს მიერ ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და „მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა დადგენილებაში" შეტანილი ცვლილებებია.

ცვლილებების მიხედვით, სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისთვის განაცხადი არ მიიღება, თუ მაძიებლის საცხოვრებელი კანონიერად არ იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში. ეს ადამიანები კი „შეჭრილები" არიან შენობაში, რომელიც ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ბალანსზეა. მასზე პასუხისმგებელი კი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროა.

პირობები მეტად მძიმეა. შენობაში საშინელი ანტისანიტარიაა. კორპუსში არ ფუნქციონირებს კანალიზაცია. მზის სინათლე ჩამონგრეული კედლების უმინო სარკმლებიდან აღწევს. უკანონოდ შეყვანილი ელექტროენერგია კი მომხმარებლებს გასულ წელს ჩაუჭრეს, რაც დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩება. წყლის პრობლემა საკუთარი სახსრებითა და გამგეობის დახმარებით გადაჭრეს.

„წერილი მივწერეთ თბილისის მერს. მან ნაძალადევის რაიონის გამგეობას დაავალა და სასმელი წყალი მათი დახმარებით გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს ელექტროენერგია. ბავშვებს სანთლის შუქზე უწევთ მეცადინეობა. „თელასის" წარმომადგენელმა გვითხრა, თუ მრიცხველებს დაგიდგამთ ე.ი. გაჩუქეთო. რა თქმა უნდა, არ გვიდგამენ", - აღნიშნავს ესმა მოსიაშვილი.

აქ მაცხოვრებელ 100-მდე ოჯახს შორის დევნილები, სოციალურად დაუცველები და უსახლკაროები არიან. როგორც აღნიშნეს, მათ იციან, რომ არაკანონიერად, არასწორად მოიქცნენ, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ. უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდნენ და ბინის ქირას ვერ იხდიდნენ. დღეს კი, მუდმივად გასახლების შიშით არსებობენ.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორის, შოთა გოგიჩაიშვილის თქმით, მათ ქუჩაში გაყრას არავინ უპირებდა. სახელწიფომ სამი თვის განმავლობაში 600 ლარი გამოუყო ბინის საქირავებლად, შემდგომ კი ალტერნატიული ფართიც გადაეცემოდათ.

აღნიშნულ ფაქტს მაცხოვრებლები არ უარყოფენ, თუმცა ამბობენ, რომ ვინც შეცდა და წავიდა 3 თვის შემდეგ უკან დაბრუნდა, რადგან მხოლოდ 600 ლარი მიიღეს, ალტერნატიული ფართი კი არა.

ყოფილი 68-ე სკოლისა და კარდეოლოგიური შენობის მაცხოვრებლები სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებას ითხოვენ. მათი ერთადერთი სურვილი ალტერნატიული ფართის მოძიებაა, რათა შენობაში „შეჭრილების" სტატუსით ცხოვრების გაგრძელება აღარ მოუხდეთ.

ეკომიგრანტებისა და დევნილების ნაწილს სასხოვრებელი ფართები დაუჯანონდება

200-ზე მეტ ეკომიგრანტს საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი დაუკანონდება და ეს პროცესი გაგრძელდება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეკომიგრანტების, წლების განმავლობაში გადაუწყვეტელ საკითხზე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება.

„ეს არის ამოცანები, რომელთა გარშემო ჩვენ უნდა მოვახდინოთ მაქსიმალური კონცენტრირება", – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობა ასევე მიიღებს გადაწყვეტილებას 145 დევნილი ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლების დაკანონების შესახებ.

ბაბუშერაში აფეთქებისას დაღუპული კიდევ 10 მებრძოლის ნეშტი იდენტიფიცირებულია

აფხაზეთის ომის დროს ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავის აფეთქებისას დაღუპული კიდევ 10 მებრძოლის ნეშტი იდენტიფიცირებულია.

დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში იმყოფებოდა, სადაც 10 იდენტიფიცირებული ნეშტი ოჯახის წევრებს გადასცეს. ექსპერტიზის ბიუროდან ცხედრები სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენეს. 5 მარტს, სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ აფხაზეთიდან გადმოსვენებული მებრძოლები დიღმის ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს.

2010 წელს წითელი ჯვრის ეგიდით შეიქმნა ორმხრივი საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც 1992-1993 წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებს შეისწავლის. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა ბაბუშერას ძმათა სასაფლაოს გახსნა და ცხედრების ექსჰუმაცია.

ბაბუშერას ძმათა სასაფლაოზე სამარხის გახსნის შემდეგ, იდენტიფიცირების მიზნით, ნეშტები გადმოსვენებულ იქნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. საქართველოში ჩატარებული გენეტიკური პროფილები ხორვატიაში, ზაგრების უნივერსიტეტის დნმ ლაბორატორიაში გაიგზავნა. ამ ეტაპზე, სულ იდენტიფიცირებულია 31 ნეშტი.

„უახლოეს მომავალში მოხდება ბაბუშერას ძმათა სასაფლაოდან გადმოსვენებული კიდევ 12 ნეშტის იდენტიფიცირება. დევნილთა და განსახლების სამინისტროსა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად, 2016 წელს კიდევ ორი სამარხი გაიხსნება, საიდანაც 100-ზე მეტ ცხედარს გადმოასვენებენ", - განაცხადა სამინისტროს პრეს სამსახურმა.

"უსახელო ვარსკვლავი" მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ხიდევ ერთხელ გამოჩნდა

ნინო შარაშიძე

„ერთი პატარა პროვინციული ქალაქი... აქ ადამიანები ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თუ რას ფიქრობენ მათზე გარშემომყოფები... მორალური, სოციალური, ზნეობრივი წესები, რომლებიც მათ თავად დააწესეს და თავადვე ემონებიან ამ წესებს“.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში რუმინელი მწერლის მიხეილ სებასტიანის უკვდავი პიესა „უსახელო ვარსკვლავი“ კიდევ ერთხელ დაიდგა. პირველად ის გენიალურმა რეჟისორმა ანზორ ქუთათელაძემ 1963 წელს დადგა, რომელშიც მონაწილეობდნენ იმ დროის საუკეთესო მსახიობები: მარინე თბილელი, თენგიზ არჩვაძე, მალხაზ ბებურიშვილი და ელენე ყიფშიძე. რეჟისორ ლევან წულაძის დადგმაში კი მთავარ როლებს ნიკა კუჭავა, ანკა ვასაძე, კონსტანტინე როინიშვილი, დემეტრე (დუტა) სხირტლაძე და მანანა კოზაკოვა ასრულებენ. სპექტაკლი რეჟისორმა თავისი სიმამრის მიხეილ კოზაკოვის ხსოვნას მიუძღვნა, რომელმაც 1978 წელს იგივე სახელწოდების ფილმი გადაიღო და მისი ნამუშევარი რუსეთში დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა.

„უსახელო ვარსკვლავი“, ავტორმა 1944 წელს დაწერა, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი მყარად იკიდებდა ფეხს წევრი ქვეყნების ყოფა-ცხოვრებაში. საკითხები, რომელსაც აღნიშნული პიესა ეხება ძალიან მშობლიურია ჩვენთვის, შესაბამისად, სწორედ არის აღქმული და მოწოდებული ქართველი რეჟისორისა და მსახიობების მიერ.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სპექტაკლის სცენოგრაფია და ვიდეო პროექცია, რომელიც იწყება იხვის ნარნარი ფრენით მშვიდ მზიან ამინდში, რასაც მატარებლის შეჯახება და ხმაურიანი კადრები ცვლის. ძნელია, გამოიცნო რეჟისორის ჩანაფიქრი ამ კადრთან დაკავშირებით, ეხება ეს თავად ავტორის, მიხეილ სებასტიანის ცხოვრებას, რომელიც სატვირთო მანქანამ 38 წლის ასაკში გაიტანა და არსებობს ვარაუდი, რომ იგი მოკლეს თუ ქართულ რეალობას, საბჭოთა კავშირის რეჟიმამდე, როცა ქვეყანას ჰქონდა უფრო მეტი პერსპექტივა შემდგარიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ჰყოლოდა ჯანსაღი საზოგადოება.

მოქმედება ძირითადად ვითარდება ბაქანზე, სადაც სკოლის მასწავლებლების უფერული ცხოვრებაა წარმოჩენილი. სპექტაკლში განსაკუთრებით მწვავედ ჩანს საბჭოთა პერიოდის ის სიმახინჯეები, რომელიც მაშინდელმა საზოგადოებამ შეისისხლხორცა და დღემდე ვერ იშორებს იმდროინდელ კომპლექსებს. ამ ერთ პატარა პროვინციულ ქალაქში ბევრი რამ ზუსტად ისეა, როგორც დღევანდელ საქართველოში, დაწყებული გზაზე ორმოებით, რომელსაც რეჟისორი სცენის თითქმის ყვე-ლა ეპიზოდში უსვამს ხაზს, დამთავრებული იმ გაურკვეველი მორალური, სოციალური თუ ზნეობრივი წესებით, რომელიც ამ საზოგადოებამ თავად დააწესა და ისე აგრძელებს ამ ტრადიციას, რომ მათგან თავის დაღწევაზე არც კი ფიქრობს.

ამ ქალაქში ისევე როგორც ყველაფერი, საათიც კი ჩამორჩება დროს, თუმცა როგორღაც ახერხებენ ცხოვრებას, უფრო სწორად, არსებობას, როგორც ამას მანანა კოზაკოვას გმირი, მადმუაზელ კუკუ აღნიშნავს. ამ მოსაწყენ ცხოვრებას ახალისებს უცხოელებით სავსე მატარებელი, რომელიც მართალია, ამ ქალაქში არასოდეს გაჩერებულა, მაგრამ მაინც ყველას იზიდავს თუნდაც ფანჯრებში დანახული განსხვავებული ცხოვრება. ერთ დღესაც, სრულიად შემთხვევით მატარებელი რამდენიმე წამით გაჩერდა და ქალაქის სადგურზე უბილეთო მგზავრი ჩამოსვა.

მდიდრულად ჩაცმული გოგონასათვის ეს ქალაქი დიდი ჭაობია, აპროტესტებს დამკვიდრებულ წესებს და ხალხის უმოქმედობას გრაფიკით მიწოდებულ წყალსა თუ ელექტროენერგიაზე. თუმცა ასტრონომიის მასწავლებელთან გატარებული ღამის შემდეგ ყველაფერს ნათელ ფერებში უყურებს, ამჩნევს მზიან ამინდს, ყვავილებს, თითქოს მოსწონს კიდეც ეს ქაოსი, უბრალოება, ცივი წყლით სახის დაბანა. მზად არის დარჩეს და ცოლად გაჰყვეს წინა ღამით გაცნობილ მასწავლებელს, თუმცა ამ დროს სცენაზე ჩნდება მისი მოთამაშე ქმარი, რომელიც მას შინ დაბრუნებაში დაარწმუნებს, რადგან ამ ქალაქისთვის შეუფერებელია.

ასტრონომიის მასწავლებელი არც იმას აპროტესტებს, რომ ცოტა ხნის წინ მის მკლავებში მყოფი ქალი ახლა სხვა კაცს, რომელიც მისი ქმარი აღმოჩნდა, სახლში მიჰყვება, პირიქით, ამას გამართლებასაც უძებნის და ამბობს: „ვარსკვლავი თავისი ორბიტიდან არასოდეს უხვევს“.

ქალიც იაზრებს, რომ დარჩენის შემთხვევაში, მისი ცხოვრებაც უფერული გახდება იქ, სადაც ადამიანები ყოველგვარ კომფორტს მოკლებულნი არიან. მათი ყოველდღიური საზრუნავი ელემენტარულ საჭიროებებზე გადის და საკუთარი ცხოვრება არავის აქვს აწყობილი, ამის ნაცვლად კი სხვის ცხოვრებას უცქერენ ფანჯრებიდან.

უცხოელები მიდიან ქალაქიდან და ყველაფერი ჩვეულ რიტმს უბრუნდება. სევდანარევი კომიკურობა, მაღალი დონის არტისტიზმი და გამორჩეულად კარგი სცენური გაფორმება ნებისმიერ მნახველზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მოახდენს. თუმცა პრობლემის სიმძაფრის და აქტუალურობის გამო ბევრს შესაძლოა მაინც დარჩეს უკმაყოფილების განცდა, რომელიც არ იცი ვის დააბრალო, რეჟისორს, მსახიობს თუ პიესის „არაჰოლივუდურ“ დასასრულს.

„ხალხს თუ გინდა სიმართლე უთხრა ხუმრობით შეაპარე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგკლავენ“, ცნობილი მწერლის ოსკარ უაილდის ეს ფრაზა კარგად აქვს გააზრებული ლევან წულაძეს. რის გამოც, მას „მოკვლა“ ნამდვილად არ ემუქრება, მაყურებელს კი, მსახიობების ქორეოგრაფია და ჯანსაღი იუმორით გაჯერებული ფრაზები აუცილებლად მოგვრის ღიმილს და უდიდეს ესთეტიურ სიამოვნებას მიანიჭებს. აქვე აღნიშვნის ღირსია, რომ სცენაზე დამონტაჟებული მონიტორის საშუალებით უცხოელ სტუმრებსაც შეუძლიათ ინგლისური სუბტიტრებით იხილონ სპექტაკლი და შესაძლოა დუტა სხირტლაძისა და ანკა ვასაძის პერსონაჟებში საკუთარი თავიც ამოიცნონ.

ბულგარეთმა ხავშირმა საქართველოში ბულგარეთის განთავისუფლებისა და დედის დღე ეროვნულ აღნიშნა

ბუხანდა ძამელაშვილი

ბულგარელთა კავშირმა საქართველოში „ვზრაჟდანემ“ 3 მარტს, კავკასიის სახლში, ბულგარეთის განთავისუფლების, დედის დღე და ასევე გაზაფხულის დღესასწაული „მარტენიცა“ (ბაბა მარტა) ერთად აღნიშნა.

„3 მარტი ჩვენთვის ბულგარეთის ეროვნული დღესასწაულია. ხშირად ეს დღე ბულგარეთის დამოუკიდებლობის დღესასწაულში ერევათ ხოლმე, მაგრამ ამ დღეს ჩვენ ბულგარეთის თავისუფლების დღეს ვზეიმობთ, რომელიც 1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის დასასრულსა და ოტომანთა იმპერიისგან ბულგარეთის გათავისუფლებას უკავშირდება“, - განაცხადა „ობზერვერთან საუბარში ბულგარეთის ელჩის მრჩეველმა ტიხომირ ტოდოროვმა.

ღონისძიებაზე შესრულებული იყო ბულგარული და ქართული ნაციონალური ცეკვები და სიმღერები, ასევე გამოიფინა „მარტენიცები“, რომელიც ბულგარული ტრადიციის მიხედვით ჯანმრთელობისა და ბედნიერების სიმბოლოა. ბულგარეთის შესახებ გაიმართა პრეზენტაციაც. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ბულგარეთის ელჩმა და ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კრასინ ჰიმირსკმა. აღსანიშნავია, რომ ბულგარელთა კავშირი საქართველოში ხშირად ცდილობს მსგავსი ღონისძიებების მოწყობას.

როგორც ბულგარეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში პლამენ ბონჩევმა განაცხადა, 3 მარტი ბულგარელი ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია. „მოხარული ვარ, რომ ბულგარელთა კავშირმა საქართველოში ორგანიზება გაუწია ამ ღონისძიებას. 3 მარტი ძალიან მნიშვნელოვანია ბულგარეთის ისტორიაში, რადგან ამ დღეს ბულგარეთმა აღიდგინა დამოუკიდებლობა. სასიამოვნოა, რომ ეს დღესასწაული ემთხვევა დედის დღეს საქართველოში. დღეს ასევე აღვნიშნავთ „ბაბა მარტას“ დღესასწაულს, რომელიც გაზაფხულის დასაწყისში 1 მარტს იმართება და ბულგარელები ტრადიციისამებრ ტანსაცმელზე იმაგრებენ მარტინიცებს, რომელსაც მათთვის ბედნიერება მოაქვთ“,- აღნიშნა ელჩმა.

საქართველოს ბულგარელთა საზოგადოების - „ვზრაჟდანე“ თავმჯდომარის რაინა ბელევა–ახალკაციშილის თქმით, ბულგარელები ამ დღესასწაულს ყველგან აღნიშნავენ. „3 მარტის აღნიშვნით ჩვენ გვახსოვს ჩვენი ისტორიული სამშობლო“, – განაცხადა მან.

ბულგარეთის განთავისუფლების დღე რუსეთ–თურქეთის 1877–1878 წლების ომის შედეგად ბულგარეთის დაახლოებით 500 წლიანი ოტომანთა იმპერიის დაქვემდებარებიდან გათავისუფლების აღსანიშნავად დაწესდა. დღესდღეობით ბულგარეთში დღესასწაული გაზაფხულის დასაწყისში აღინიშნება განსაკუთრებით კი, იმ ქალაქებში, სადაც გადამწყვეტი ბრძოლები მიმდინარეობდა. 3 მარტი, როგორც ბულგარეთის გათავისუფლების დღე, 1888 წლიდან აღინიშნება, თუმცა ოფიციალურ დღესასწაულად და დასვენების დღედ 1990 წლიდანაა გამოცხადებული.

რაც შეეხება „მარტენიცას“ დღესასწაულს, ის ბულგარელების ერთ–ერთი ყველაზე საყვარელი დღესასწაულია. მიჩნეულია, რომ ბაბა მარტა იყო ენერგიული ქალბატონი, რომლის შესახებაც სხვადასხვა ლეგენდები არსებობს. ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, 1 მარტს ის სახლს ალაგებდა და ლეიბებს ბერტყავდა შემდეგი ზამთრის დადგომამდე. ბუმბულები კი, რომელიც ლეიბებს გამოსდიოდათ მიწაზე ეფინებოდა, როგორც წლის უკანასკნელი თოვლის ფიფქები. პირველ მარტს ბულგარელები ბაბა მარტას დღესასწაულის საპატივცემულოდ ატარებენ „მარტენიცას“, რომელიც ფერადი წითელი და თეთრი საქსოვი ძაფისგან მზადდება. წითელი არის სისხლის, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სიმბოლო, ხოლო თეთრი განასახიერებს სიწმინდესა და ბედნიერებას. „მარტენიცას“ ტარება მიზანშეწონილია, სანამ ადამიანი არ დაინახავს აყვავებულ ხეს ან პირველ გადამფრენ მფრინველს. შემდეგ ის უნდა მიყვეს აყვავებული ხის ყლორტს ან ბუჩქს ან უნდა დადოს ქვის ქვეშ. ტრადიციის მიხედვით, საჩუქრად გადაცემულ მარტენიცას ბედნიერება და წარმატება მოაქვს.

დედის დღესთან დაკავშირებით, ღონისძიების მონაწილე ყველა ქალბატონი ყვავილებით დაასაჩუქრეს. ეს დღესასწაული საქართველოში პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებით 1991 წელს დაარსდა და ოფიციალურ დღესასწაულად გამოცხადდა.

იტალიის საელჩო თუმანიშვილის სახელობის თეატრში სპექტაკლს გამართავს

7 მარტს, იტალიის საელჩოს ორგანიზებით საქართველოში მიხეილ თუმანშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სცენაზე ნეაპოლის ცნობილი თეატრალური დასის, Teatri 35 – ს სპექტაკლს “*Chiaroscuro*” („შუქჩრდილები“) გაიმართება. წარმოდგენის დროს გაცოცხლდება დიდი იტალიელი ფერმწერის, მიქელანჯელო მერიზი და კარავაჯოს 18 ყველაზე ცნობილი ტილო.

ღონისძიება გაიმართება მისთვის სპეციალურად შერჩეული იტალიური ბაროკოს პერიოდის მუსიკალური ნაწარმოებების თანხლებით, რომლებსაც შეასრულებს თბილისის სახელმწიფო ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“.

სპექტაკლი იტალიური თეატრალური დასის ათწლიანი მუშაობის და მხატვრული ძიებების შედეგია, რომლითაც იგი პირველად წარსდგება თბილისელი მაყურებლის წინაშე და შესთავაზებს წარმოდგენას, რომელიც, მუსიკისა და ტექსტის, ჟესტებისა და წარმოსახვის შერწყმით, შესაძლებელს გახდის ხელოვნების, სივრცისა და მხატვრობის ახლებურ აღქმას.

ცნობილი აზერბაიჯანელი მხატვრის აბსტრაქტული ხელოვნება ლონდონის შემდეგ თბილისი მასპინძლობს

ნინი მაჭავარიანი

არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი აზერბაიჯანელი მხატვარი ფარჰად ხალილოვი, გამოფენას საქართველოში მართავს. თანამედროვე ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლის ნამუშევრების დათვალიერება საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში 1-ლი მარტიდან 22 მარტამდეა შესაძლებელი.

გამოფენაზე წარმოდგენილი 35 ნამუშევარიდან უმეტესი ნაწილი ბოლო წლებშია შექმნილი. ერთ-ერთი პირველი ნამუშევარია „მოხუცი კაცის პორტრეტი“, რომელიც 1961 წელსაა შესრულებული. ხალილოვმა შეძლო საბჭოთა იდეოლოგიისაგან თავისუფალი, საკუთარი სტილის შექმნა და კავკასიელის მდიდარი ბუნებისა და შინაგანი სამყაროს საინტერესო კუთხით წარმოჩენა.

აზერბაიჯანელ მხატვარს დღემდე არაერთი პერსონალური გამოფენა ჰქონდა ლონდონში - "საათჩის გალერეაში", ბერლინში - საქალაქო ადმინისტრაციის გალერეაში, მოსკოვში - მხატვართა ცენტრალური სახლისა და ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში, ბაქოში - სახელმწიფო მუზეუმების ცენტრში, პარიზში - "*La Cite Internationale des Arts*"- ში. ასევე, მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ქვეყნის 40-მდე ჯგუფურ გამოფენაში.

მისი ნამუშევრები ინახება აზერბაიჯანის, უკრაინის, რუსეთის, ლიტვის, გერმანიის, ჩინეთის სახელმწიფო მუზეუმებისა და აზერბაიჯანის მხატვართა საერთაშორისო კონფედერაციის კოლექციებში. ასევე აშშ-ის, გერმანიის, პოლონეთის, საფრანგეთის და მექსიკის კერძო კოლექციებში.

ფარჰად ხალილოვი 1987 წლიდან დღემდე აზერბაიჯანის მხატვართა კავშირის თავმჯდომარეა. მას სხვადასხვა დროს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. დღეს მისი ნამუშევრები იყიდება სოტბისა და ფილიპ დე პიურის აუქციონებზე.

მხატვრის ხელოვნებას ახასიათებს პლასტიკური ენის უეჭველი სიცხადე. ამავე დროს იგი გამოირჩევა მხატვრული სიტყვის მრავალმნიშვნელოვანი ტრაქტატებით. მხატვრის აღქმა და ინტერპრეტაცია ერთი შეხედვით გამუდმებით ავლენს პარადოქსალურ მომენტებს. მაგალითად, ფერწერული ექსპრესია, რომელიც გულისხმობს გარკვეულ სპონტანურობას, მის შემოქმედებაში ვირტუოზულ სახეს იღებს. მხატვრის თვითიდენტიფიკაცია კი ეფუძნება მის მიერ ეროვნული ლანდშაფტის მძაფრ აღქმას. ღრმა ტრადიციების გამოხატვა ჰარმონიულად ერწყმის მისი არტისტული თვითგამოხატვის ბუნებას. თვალშისაცემი ინდივიდუალიზმი, რომელიც სცილდება ფერწერის ლოკალური სკოლის ჩარჩოებს, მსოფლიო ხელოვნების XX საუკუნის მეორე ნახევრიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე, *„Colour field painting“*-დან ნეოექსპრესიონიზმამდე, იძლევა არსებული ინდივიდუალური მოვლენების შედარების საშუალებას.

„ფარჰად ხალილოვის ფერწერული ხელოვნების არსის გაგებისთვის სასარგებლო იქნება გარკვეული მუსიკალური კონოტაცია: მისი ფერწერა იპყრობს მნახველს, თავისი ჟღერადობით, გადაჰყავს იგი კოსმიურ სტიქიაში. მისი ნამუშევრები საშუალებას გვაძლევს ვენდოთ საკუთარ ინტუიციას, დამთვალიერებელთა გამოცდილებასა და ესთეტიკურ გემოვნებას, შევიჭრათ ამ შთამბეჭდავი პიროვნების მიერ შექმნილ არტ კოსმოსის ჰარმონიაში“, - განაცხადა გამოფენის კურატორმა.

თავად მხატვარმა კი „ობზერვერთან“ საუბარში აღნიშნა, რომ საქართველო ძალიან უყვარს და აქ გამოფენის გაკეთების სურვილი მუდმივად ჰქონდა.

„ლონდონის გამოფენის შემდეგ დამირეკეს და მითხრეს, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში უნდა ჩამეტარებინა მონიტორინგი. იმის მიუხედავად, რომ ძალიან დაღლილი ვიყავი, თბილისში ჩამოსვლაზე უარი ვერ ვთქვი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩამოვფრინდი საქართველოში და მოვინახულე ჩემი დიდი ხნის უნახავი მეგობრები. სწორედ ამ შეხვედრებმა მიბიძგა, გამეკეთებინა ეს გამოფენა“, - აღნიშნა მხატვარმა.

ადრეული ასაკიდანვე ხატავდა და როგორც თავად იხსენებს, ბავშვური ნამუშევრები არ ჰქონია, 6-7 წლის ასაკშიც ნატურმორტებს ქმნიდა. პირველი გამოფენა 15 წლის ასაკში ჰქონდა, სადაც „მოხუცი კაცის პორტრეტი“ წარმოადგინა. იქიდან გამომდინარე, რომ მუსიკა ძალიან უყვარს, მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის შემოქმედებაში.

ლონდონში გამოფენის დროს, კრიტიკოსმა ვიქტორ მიზიანომ მხატვრის ნამუშევრები „აბსტრაქტული რეალობის“ ჟანრს მიაწერა. „ფარჰადის გზა განსხვავებულია - იგი სათავეს იღებს არა ვარაუდიდან, არამედ ცოცხალი დაკვირვებიდან. მისი შემოქმედებითი მეთოდი გამომდინარეობს რეალობის ფენომენის ემოციურ-მგრძნობელობითი აღქმის განცდებიდან. იგი ემოციებს ისე იმორჩილებს, როგორც მუსიკალურ ინსტრუმენტს. აწრთობს მათ, გამოაქვს სხვადასხვა აზრობრივი ფერები, მაშინ, როცა სუფთა პლასტიკის თვალსაზრისით, იგი ვითარდება მოტივების განზოგადების გზით და მეტ ნიველირებას უკეთებს დეტალიზებულ კონკრეტიკას. ბუნებრივი სამყაროს რომელიმე კუთხის პირდაპირი ხედვა თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, წლიდან წლამდე, გადადის აბსტრაქციაში, სადაც შეიძლება მიაღწიო აბსოლუტური აბსტრაქტული პლასტიკური სტრუქტურების სამყაროს“, - წერს მიზიანო.

უნივთოების ენის ამგვარ განცდაში ფარჰადი მარტო არ არის, იგი არის მიმდევარი თანამედროვე ფერწერაში არსებული ტრადიციისა. სწორედ ასე მუშაობდა დიდი მორანდი, იგი ვნებათაღელვით აკვირდებებოდა საყოფაცხოვრებო ნივთებსა და ბუნების ფრაგმენტებს. ასე მუშაობდნენ ფრანგებიც, მაგალითად, ნიკოლა დე სტალი, მას პეიზაჟის მოტივი დაჰყავდა პლასტიკურ კვინტესენციამდე. ეს ტრადიცია მიმართავს გამოხატვის საშუალებებს პირველი წყაროს, იგი არ ქრება, მოქცეულია თავისი ავტონომიის ჭურვში. რამდენადაც ავტონომიური ხდება პლასტიკური ფორმა, მასში უფრო აშკარად იკვეთება ადამიანის ამქვეყანაზე ყოფნის გამოცდილება.

საქართველოს 5 ქალაქში ევროკავშირის კინოფესტივალი "გარღვევის მომენტები" გაიმართება

9 მარტს ევროკავშირის წარმომადგენლობა წევრი სახელმწიფოების საელჩოებთან ერთად, საქართველოში ევროკავშირის მე-4 კინოფესტივალს გახსნის. 18 მარტის ჩათვლით ფილმების ჩვენება გაიმართება თბილისში, რუსთავში, ბოლნისში, ქუთაისსა და მესტიაში.

წელს ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება 17 ფილმი, რომელიც ევროპული კინოს 72-წლიან ისტორიას ასახავს. სპეციალურად შერჩეული ფილმების საერთო თამაა "გარდამტეხი მომენტები" და ისინი პირად, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელობას ეძღვნება. ყველა ფილმი ნაჩვენები იქნება ორიგინალის ენაზე, ქართული სუბტიტრებით.

ფესტივალის ფარგლებში ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში აცხადებს კონკურსს კინოფესტივალის მონაწილე ფილმებისთვის პოსტერების შესაქმენლად.

კონკურსანტებმა ევროკავშირის 2016 წლის კინოფესტივალზე საჩვენებელ ფილმებზე უნდა შექმნან პოსტერები (ერთი ან რამდენიმე).

გამოვლიდნება ორი გამარჯვებული. ერთ-ერთ გამარჯვებულს გამოავლენს ჟიური (პრიზი 200 ევრო), ხოლო მეორე გამარჯვებულად დასახელდება ის, ვინც მეტ ფეისბუკ მოწონებას დაიმსახურებს (პრიზი 50 ევრო).

კონკურსანტებმა ნამუშევრები უნდა გამოაგზავნონ შემდეგ მისამართზე: ***eucontest2016@gmail.com*** პოსტერების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2016 წლის 20 მარტი.

კინოთეატრი "ამირანი" დოკუმენტური ფილმების ფესტივალს მასპინძლობს

2016 წლის 4-6 მარტს გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ფონდ „ნოოსფერასთან“ ორგანიზებით, დოკუმენტური ფილმების ფესტივალი "ქალი კადრში" გაიმართება. ღონისძიება დღეს კინოთეატრ "ამირანში" 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

ფესტივალი ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვას ეძღვნება და ქალთა საერთაშორისო დღესთან (8 მარტი) დაკავშირებით იმართება.

"ფილმებში დომინირებენ განსხვავებული ასაკის, პროფესიისა და ინტერესის ქალები საკუთარი უნივერსალური ცხოვრებისეული ისტორიებით. ისტორიებით, რომლებიც კიდევ ერთი მკაფიო შეტყობინება იქნება საზოგადოებისადმი, საჭირო ყურადღება დაუთმონ ქალების წინაშე აღმართულ ზღუდეებსა და ბარიერებს, რომლებიც 21-ე საუკუნეშიც კი მწვავე პრობლემაა", – აცხადებენ ორგანიზატორები. კინოფესტივალი დანიელი რეჟისორის ფილმით - "სეპიდე" გაიხსნება.

თბილისში ინოვაციური მასტერკლასი "საქართველო და შენი შესაძლებლობები" გაიმართა

მარი ტაბატაძე

საქველმოქმდო საზოგადოება-„მადლობის“ ორგანიზებით თბილისში წამყვანი ტრენერების გაერთიანებული მასტერკლასი ჩატარდა. ირაკლი ბლიაძის ინიციატივით, ერთდღიანი მასტერკლასი დიდუბე პლაზაში გაიმართა. რამდენიმესაათიან ღონისძიებას საქართველოში ცნობილი და წარმატებული ტრენერები უძღვებოდნენ.

მასტერკლასი საქველმოქმედო ხასიათისაა და შემოსული თანხით, დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტების დაფინანსებას ისახავს მიზნად. ორგანიზაცია ,,მადლობის'' საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, ქეთი კვიცარიძის განცხადებით, სტუდენტების რაოდენობა ბიუჯეტიდან გამომდინარე შეზღუდულია. საქველმოქმედო აქციის ფარგლებში საწყის ეტაპზე ორგანიზატორები იმ ორი სტუდენტის დაფინანსებას გეგმავენ, რომელთაც ყველაზე მაღალი ქულები და აკადემიური მოსწრება ჰქონდათ. პროექტის მიხედვით, აქტიური ახალგაზრდების წახალისებისა და ჩართულობის მიზნით, ასევე გათვალისწინებულია 25 სტუდენტის რეგიონიდან ჩამოყვანა, მათი მგზავრობისა და დასწრების უზრუნველყოფა.

მასტერკლასი კარიერული, ფინანსური ან პიროვნული წინსვლით დაინტერესებული ადამიანებისთვისაა, შესაბამისად, ის ფართომასშტაბიანია. ასევე არ არსებობს ასაკობრივი შეზღუდვა და დასწრება ნებისმიერი მსმენელისათვის ნებადართულია.

პროექტის ორგანიზატორების განცხადებით, მსგავსი ტიპის და მასშტაბის მასტერკლასი საქართველოში არ ჩატარებულა. მათივე თქმით, მასტერკლასის უნიკალურობას განაპირობებს ის, რომ პროექტში ჩართულები არიან თავიან საქმიანობაში საკმაოდ ცნობილი და წარატებული ბიზნესმენები. მაგალითად, მონაწილეთა შორის არის დავით კენჭაძე, რომელიც კორპორაციულ მენეჯმენტში დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. ასევე, გიორგი თვალაძე, არაერთი პროექტის ავტორი, კლუბ ,,ინტელექტიკას'' დამფუძნებელი, რომელიც რვა წელია ფუნქციონირებს საქართველოს ბაზარზე. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებს ილია ნიკაჭაძე - ,,ფორმოტივის'' რედაქტორი, ,,რა, სად, როდის'' პიარ მენეჯერი. ასევე, ტარიელ ზივზივაძე - ქართული ბრენდების პოპულარიზატორი და ირაკლი ბლიაძე, იდეის ავტორი და პროექტის ერთ-ერთი წამყვანი მონაწილე.

ორგანიზატორები ორიენტირებულნი არიან ადამიანებზე, ვისაც აქვთ დასაქმების პრობლემა. მასტერკლასის ფარგლებში, ილია ნიკაჭაძე დასაქმების თემაზე ისაუბრებს. ის მსმენელებს გააცნობს კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლებიც საჭიროა სასურველი სამსახურის დასაწყებად და შესთავაზებს ქმედით საშუალებებს, რომლებიც ხელს უწობს უმუშევრობის პრობლემის გადაჭრას. დასაქმებულთა შედეგების გასაუმჯობესებლად და ეფექტურობის გასაზრდელად ისაუბრებს დავით კენჭაძე. ის შეეხება დროის მენეჯმენტის თემას, რომელიც საშუალებას იძლევა იყო უფრო მეტად ეფექტური და შედეგიანი. ბიზნეს-ტრენერი მსმენელებს მიაწვდის ინფორმაციას იმ ინსტრუმენტებსა და საშუალებებზე, რომლებიც პიროვნებას გამოარჩევს გუნდში და დააყენებს ერთი საფეხურით მაღლა. ამისათვის ის გამოყოფს 21 კონკრეტულ მოქმედებას, რომელიც მოიტანს ეფექტურობასა და ფინანსების ზრდას.

მასტერკლასის ფარგლებში, გიორგი თვალაძე ბაზრის გაანალიზებაზე, ნიშის სწორად შერჩევასა და მის წარმარვაზეგააკეთებს მოხსენებას. ასევე, გასცემს რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ნულიდან დაწყებულმა საქმემ მოიტანოს სოლიდური შემოსავალი. ქართული ბრენდების პოპულარიზაციის თემატიკას მიმოიხილავს ტარიელ ზივზივაძე, ის ქართული პროდუქტების შექმნასა და მათი პოპულარიზაციის მნიშვნელობას გაუსვამს ხაზს. რაც შეეხება ირაკლი ბლიაძეს, ის წარმატების მიღწევის მიზნით არანაკლებ მნიშვნელოვან თემას, პერსონალურ განვითარებას მიმოიხილავს, საკუთარი შესაძლებლობების სწორ მენეჯმენტზე ისაუბრებს და რეკომენდაციის სახით გასცემს იმ კონკრეტულ ინსტრუმენტებს, რომლებიც ადამიანს ეხმარება საკუთარი თავის რწმენის ამაღლებაში.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მასტერკლასი ქველმოქმედებისა და ტრენინგების გაერთიანების ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. ბიზნეს-ტრენერების გაერთიანება კი მიზნად ისახავს ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მიაწოდოს არა თეორიული ინფორმაცია, არამედ გაუზიაროს ის პრაქტიკული გამოცდილება, რასაც თითოეული ბიზნეს-ტრენერი საკუთარ საქმიანობაში იყენებს.

საქართველოში მსგავსი პროექტების მიმართ წლების განმავლობაში სკეპტიკური დამოკიდებულება იყო. სწორედ ამ დამოკიდებულების შეცვლას ისახავს მიზნად ზემოხსენებული საქველმოქმედო მასტერკლასი. მისი ორგანიზატორები თავიანთ მოვალეობად მიიჩნევენ, რომ ამ მიმართულებით აქტიურობის შედეგად, მსგავსი ღონისძიებები გახადონ უფრო მასშტაბური და საზოგადოებრივი და ინფორმაცია უფრო ფართო საზოგადოებას მიაწოდონ.

რეალურად, რამდენად არის დღეს საზოგადოება გათვითცნობიერებული მსგავსი პროექტების არსში და რამდენად მარტივად მიჰყვებიან მათ, რთული სათქმელია. თუმცა, ორგანიზაცია ,,მადლობა'' ამ მიმართულებით აქტიურობას გეგმავს. საქველმოქმედო საზოგადოება ახლადდაარსებული დაწესებულებაა, რომლის სლოგანია ,,მადლობა, რომ ხარ''. გაიერთიანების მიზანი საზოგადოების ცნობიერების უკეთესობისკენ შეცვლაა, ამ მიზნით კი სხვადასხვა სფეროსა თუ საქმეში წარმატებულ თუ მონდომებულ პიროვნებებს უხდიან მადლობას და ამგვარად ახდენენ მათ წახალისებას.

თებერვალში, ინტელექტიკამ საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,მადლობასთან'' ერთად, 2 ლიდერის გაერთიანებით უფასო სემინარი გამართა. პროფესიონალმა ტრენერებმა საჩუქარი რუსთაველებსაც გაუკეთეს და მათ უფასო ბიზნეს ტრენინგი შესთავაზეს. ამას გარდა, დაინტერესებულ პირებს ბიზნეს-ტრენერების რჩევები ვიდეო ფორმატში უფასოდაც შეუძლიათ მიიღონ. ეს არის ის ნაბიჯები, რომლებიც ორგანიზაციამ უკვე გადადგა საზოგადოებაში არსებული სკეპტიკური დამოკიდებულების შეცვლის მიზნით. კონკრეტულად რა პროექტებს განახორციელებს ის მომავალში, ჯერეჯერობით უცნობია. თუმცა, ორგანიზაცია მხოლოდ სტუდენტების დახმარებაზე არაა ორიენტირებული და სხვა სახის საქველმოქმედო ხასიათის ღონისძიებების ჩატარებასაც გეგმავს.

ორგანიზატორები აცხადებენ, რომ ქართულ საზოგადოებას მეტი ინფორმირებულობა სჭირდება, რის შედეგადაც უფრო მეტი ადამიანი შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას.

ტურინის პროცესი (TRP) 2016 - გასნოგითი სამუშაო შეხვედრა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ევროპის განათლების ფონდის (ETF) მხარდაჭერით, „ტურინის პროცესის (TRP) 2016“ - გაცნობითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში „ტურინის პროცესის (TRP) 2016“ ძირითადი პრინციპები, მიმდინარე წლის ანალიტიკური ჩარჩო დოკუმენტი და განსახორციელებელი სამუშაო გეგმა.

შეხვედრას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, სამინისტროს სააგენტოების, ევროპული განათლების ფონდისა (ETF) და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები ესწრებოდნენ.

,,ტურინის პროცესი (TRP)“ 2010 წლიდან დაიწყო და პროფესიული განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ახდენს სისტემის მონიტორინგს და შეფასებას პროფესიუ-ლი განათლების პოლიტიკის შედეგების გასაუმჯობესებლად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს, ევროპის განათლების ფონდის (ETF) მხრიდან ეძლევა შესაძლებლობა იყოს ამ პროცესების მონაწილე, გაუზიაროს ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პროგრესი, გაეცნოს სხვა ქვეყნების გამოცდილებას და მიზანმიმართული რეფორმების მეშვეობით, ყოველწლიურად გააუმჯობესოს შედეგები პროფესიული განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების კუთხით.

დაზარალებული სტუდენტები სამართლის აღდგენას ითხოვენ

ნინი მაჭავარიანი ბლოგი

მე მუსიკოსი ვარ, 2015 წელს გადავწყვიტე კონსერვატორიაში ჩამებარებინა. მუსიკოსობა სპეციფიური და ერთ-ერთი ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა, რომლის მიღმაც მრავალი წლის ყოველდღიური შრომა იმალება.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (www.naec.ge) მისამართზე ინტერნეტით დავრეგისტრირდი და ჩემთვის სასურველი სპეციალობა „კლავიშიანი საკრავი“ მოვნიშნე, თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამო გადამოწმების შემდეგ დარეგისტრირებული სხვა ფაკულტეტი აღმოჩნდა, რაც უცნაურად მომეჩვენა, რადგან „ანკეტა“ შესაბამისი კოდის მითითებით მქონდა შევსებული. თუმცა ცვლილება მაშინვე შევიტანე და ელექტრონული ფოსტის გადამოწმების შემდეგ დავმშვიდდი, პრობლემა აღმოხვრილი მეგონა, რადგან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისგან შეტყობინებაც მივიღე: „ცვლილებები განხორციელდა“.

გამოცდების ამაღელვებელმა ორ თვიანმა პერიოდმა განვლო. ეროვნული გამოცდებიც ჩავაბარე და ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში შიდა საგამოცდო ტურებიც წარმატებით გავიარე. თავს უკვე სტუდენტად ვთვლიდი, მალევე სწავლასაც შევუდექი, თუმცა ჩემი ენთუზიაზმი მალევე განელდა ...

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრმა საბოლოო შედეგები აგვისტოში გამოქვეყნა, ჩემს პირად ანკეტაში დიდი ასოებით გამოჩნდა წარწერა- „ჩაჭრილია“. ძალიან გამიჭირდა ამის გააზრება, სრულ აგონიასა და გარუკვევლობაში ვიყავი. სასწრაფოდ ცხელ ხაზზე დავრეკე და საბოლოო ინფორმაცია დამიდასტურეს. აღმოჩნდა, რომ ინტერნეტით დარეგისტრირების ტექნიკური ხარვეზის გამო პროგრამამ არასწორად დამარეგისტრირა და ჩემს ელექტრონულ ფოსტაზე მოსული შეტყობინებაც - „ცვლილება განხორციელდა“, სიტყვების უაზრო თამაში იყო.

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს მაია მიმინოშვილს რამდენჯერმე შევხვდი და ვესაუბრე. თუმცა მან მხოლოდ პირადი გულისტკივილი გამოხატა და აღნიშნა, რომ ჩემს დასახმარებლად საკმარისი იურიდიული ბერკეტები არ ჰქონდა.

განათლების მინისტრ თამარ სანიკიძესთან შეხვედრა რამდენჯერმე ვცადე, თუმცა უშედეგოდ. რიგითი დაზარალებული აბიტურიენტის პრობლემის მოსაგვარებლად მან თავისი წარმომადგენლები გამოაგზავნა, რომელთაგან ბევრი აბსურდული წინადადებები მოვისმინე. მათთვის გაურკვეველი აღმოჩნდა ჩემი პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე განათლების სამინისტროში დეტალურად იცოდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ნამდვილად ჩავიჭერი და ჩემი მიზანი სხვის ხარჯზე პრობლემის გამოსწორება იყო. „გვესმის, რომ პიანისტი ხართ, მაგრამ იქნებ უცებ გადაწყვიტეთ და საგუნდო სადირიჟოროზე დარეგისტრირდით, იქნებ იქ გადაწყვიტეთ ჩაბარება“, - განმიცხადეს სამინისტროში. ამდენი აბსურდისა და ცილისწამებისგან იმედგაცრუებული ვბრუნდებოდი შინ და ვფიქრობდი თუ როგორ დამეცვა ჩემი უფლება. არც განათლების სამინისტრო და არც გამოცდების ეროვნულ ცენტრი არ აღიარებდა იმ ფაქტს, რომ მათი გაუმართავი პროგრამის გამო მე დიდი პრობლემა შემექმნა.

მიმინოშვილთან მორიგ შეხვედრაზე, მის იურისტებს ვესაუბრე და ერთ-ერთმა მათგანმა, ძალიან საინტერესო რამ თქვა: „დიახ, შეიძლება პროგრამული ხარვეზიც იყო, ამას ვერავინ გამორიცხავს“, რა თქმა უნდა, სხარტად მისი სიტყვები გამოვიჭირე და შევეცადე განმევრცო ეს საუბარი, თუმცა ამაში უკვე სხვა იურისტები ჩაერთნენ და ხმა აღარ ამოაღებინეს. შეხვედრის ბოლოს მითხრეს: „ თუ ჩვენი არ გჯერათ, მაშინ მიმართეთ სასამართლოს“.

სასამართლო პროცესი მალევე დაინიშნა. პროცესზე მოწმედ კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტი წარსდგა, რომელსაც იგივე პრობლემა ჰქონდა და სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ისიც სხვა ფაკულტეტზე დაარეგისტრირეს, თუმცა მან პრობლემა დროულად აღმოფხვრა.

ამასობაში გავიგე, რომ კიდევ ერთი მუსიკოსი რუსუდან კვალიაშვილიც (ალტისტი) ანალოგიურ სიტუაციაშია. ერთსა და იმავე მოსამართლეს მიჰყავდა ჩვენი პროცესი. მოსამართლე დავით წერეთელმა ჩვენს საკეთილდეღეოდ გამოიტანა განაჩენი. განჩინების მიხედვით, გამოცდების ეროვნულ ცენტრს დაუყოვნებლივ უნდა ჩაესვათ ჩემი კანდიდატურა 2015-2016 წლის სტუდენტთა რანჟირების სიაში. თუმცა ეს არ მოხდა და ცენტრმა მოსამართლე მიკერძოებაში დააადანაშაულა.

სასამართლოს მიხედვით, თხუთმეტამდე მუხლი იყო ჩამოთვლილი, რომლეთა მიხედვითაც ჩვენს უფლებას გამოცდების ეროვნული ცენტრი არღვევდა. მე და დაზარალებულმა რუსუდანმა პრესკონფერენციაც გავმართეთ, სხვადასხვა გაზეთსა და რადიოში ჩვენი ამბავი გაგაშუქეს. მაია მიმინოშვილს ვაცნობეთ, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრებოდა თუ სასამართლოს განაჩენს არ აღასრულებდა. შედეგად, სტუდენტების სტატუსი მოგვანიჭა. ახლა პრობლემა კონსერვატორიაში წარმოიშვა, იმის გამო, რომ სწავლების პირველი სემესტრი დასრულდა და გაცდენილი საათების ანაზღაურება შეუძლებელია, სწავლას ვერ ვაგრძელებთ.

აბიტურიენტი მუსიკოსები კონსერვატორიაში ივნისის თვეში გადიან რეგისტრაციას და აბარებენ გამოცდებს, ხოლო ერთიანი ეროვნული გამოცდები ივლისში ბარდება. წელს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა კონსერვატორიას არ გადაუგზავნა იმ აბიტურიენტების საიდენტიფიკაციო კოდები, რომლებიც იქ აბარებდნენ. აი, ეს არის სწორედ სტუდენტთა უფლებების დარღვევა! რომლის გამოც ორი მუსიკოსის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველ სტადიაშია. თუმცა ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ, ჩვენს მიერ გაწეულმა შრომამ ტყუილად არ უნდა ჩაიაროს და ამისთვის ბრძოლასაც გავაგრძელებთ.

ცენტრის უნიკალური შეთავაზება აბიტურიენტებს - BeNAEC - შეამონმე შენი თავი NAEC-თან ერთად

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

17 მარტიდან ცენტრი მსურველებს უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს - აბიტურიენტი ან ნებისმიერი დაინტერესებული პირი შეძლებს შეამოწმოს საკუთარი ცოდნა და შესაძლებლობები Naec-თან ერთად. ამასთან, მონაწილეს საშუალება ექნება მიღებული შედეგები წინა წლის საკონკურსო ქულებს შეადაროს.

შეთავაზებით სარგებლობა შეუძლია ყველა მსურველს, რომელიც გადაიხდის შესაბამის საფასურს, გაივლის რეგისტრაციას, აირჩევს გამოცდებს, მიუთითებს საქართველოს ფოსტის ფილიალს, სადაც მიიღებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოყენებული პასუხების ფურცლების იდენტურ ფურცლებს და დეტალურ ინსტრუქციას.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ტესტების ვერსიები ხელმისაწვდომი გახდება ყველასთვის, თუმცა, პროექტში მონაწილეობის საფასურის (1 საგანი - 10 ლარი) გადახდისას ცენტრი მონაწილეებს ამ პროექტისათვის შექმნილი ტესტების ვერსიების პირად გვერდზე მიწოდებას, ნაშრომების გასწორებას, მინიმუმ 4 გამოცდის არჩევისას კი გათანაბრებული და სკალირებული ქულების დათვლას და 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულთა საკონკურსო ქულებთან საკუთარი ქულების შედარებას სთავაზობს.

მსურველებს რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა ექნებათ ვებ-გვერდებზე *online.naec.ge* 17 მარტიდან 30 მარტის ჩათვლით.

4 ან მეტი გამოცდის არჩევისას მონაწილეს სპეციალური პროგრამის მეშვეობით შეეძლება მიღებული შედეგები წინა წლის საკონკურსო ქულებს შეადაროს. ამისათვის ჩამონათვალიდან მან სასურველი ფაკულტეტ(ებ)ი უნდა აირჩიოს.

შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება მისი საკონკურსო ქულა შერჩეული ფაკულტეტ(ებ)ისთვის და 2015 წელს ამავე ფაკულტეტზე ჩარიცხულთა მინიმალური საკონკურსო ქულა. ცხადია, მიმდინარე წელს კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის პროგნოზირებისათვის ამ ინფორმაციის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის (საკონკურსო ქულები 2015-2016 წელს შესაძლებელია სრულიად განსხვავებული იყოს), თუმცა აბიტურიენტს არჩევნის ოპტიმალურად გაკეთებასა თუ გამოცდამდე დარჩენილი დროის სწორად გამოყენებაში დაეხმარება.

airBaltic

RIGA - TBILISI	BT 722 5,7 RIX TBS	23:05	04:35	+1	735	03:30
TBILISI - RIGA	BT 723 1,6 TBS RIX	05:20	06:55		735	03:55

airBaltic flights from Tbilisi via Riga to Oslo, Helsinki, Copenhagen, Amsterdam, London, Milan, Paris, Berlin, Munich, Vilnius, Tallinn and Warsaw have minimum connection time 25-30 minutes in Riga airport

მზადება მეთვრამეტე ბამარჯვებისთვის "ბორჯღალოსნები" vs "დათვები"

ვაჟო ყიფიანი

2016 წლის „რაგბი ევროპის“ ჩემპიონატის მეოთხე ტურში, საქართველოს ნაკრები 12 მარტს სოჭის ცენტრალურ სტადიონზე რუსეთის წინააღმდეგ ითამაშებს. მასპინძლებმა უკვე დაიწყეს ამ შეხვედრისთვის მზადება, ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების მობილიზება.

რუსეთისა და საქართველოს ნაკრებთა დაპირისპირება ყველაზე პრინციპულია შეხვედრაა „რაგბი ევროპის“ ჩემპიონატში. ამ თამაშს გუნდები ოპტიმალური შემადგენლობებით ხვდებიან. მილტონ ჰეიგმა ესპანეთთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობს ,,ტულონთან'', საიდანაც რუსეთის ნაკრებს მინიმუმ 2 მოთამაშე შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ ბოლო მატჩში ბორჯღალოსნებმა ესპანეთი 38:7 დაამარცხეს, ხოლო რუსები რუმინეთთან 30:0 დამარცხდნენ. აქამდე ქართველებსა და რუსებს ერთმანეთის წინააღმდეგ 19 თამაში აქვთ ჩატარებული. აქედან ბორჯღალოსნებმა 17-ჯერ იმარჯვეს, ერთი მატჩი ფრედ დასრულდა და ერთიც მარცხით. რუსეთს 23-წლიანი მოუგებელი სერიის დასრულებისა და გამარჯვების იმედი აქვს. 2016 წლის 12 მარტს სოჭში მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართება. იმედია, „ბორჯღალოსნები“ ისევ დაამარცხებენ რუს „დათვებს“ და გაახარებენ ქართველი გულშემატკივრების გულებს.

მოულოდნელი მარცხი დევისის თასზე : საქართველო - დანია 0:2

საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრების წევრმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა დევისის თასზე მარცხი იწვნია. სპორტის სასახლეში დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის მე-2 ჯგუფის, საქართველო-დანიის დაპირისპირება 0:2 დასრულდა. ნიკოლოზ ბასილაშვილი კრისტიან სიგსგაარდს შეხვდა და ყველასთვის მოულოდნელად, მარცხი განიცადა. ბასილაშვილმა ოთხ სეტში ანგარიშით 7:6, 1:6, 4:6, 4:6 წააგო. ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე კრისტიან სიგსგაარდი ამ დროისთვის ATP-ის რეიტინგში საერთოდ არ არის. ბასილაშვილი წყვილის ფავორიტად მიიჩნეოდა. ქართველი ATP-ის რეიტინგში 118-ე ადგილზეა.

დღის მეორე შეხვედრაში გიორგი ცივაძე (854) ფრედერიკ ნილსენს (374) დაუპირისპირდა და 0:3 დამარცხდა. ქართველმა სამ სეტში 6:7. 0:6, 1:6 წააგო.

სპორტული სიახლეები

ფეხბურთი

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში სტუმრად პოდგორიცაში 2:0 დაამარცხა მონტენეგროს 19-წლამდე ნაკრები. გოლები რატი არდაზიშვილმა და შერმადინ ართმელაძემ გაიტანეს.

რაგბი

4 მარტს მონტევიდეოში უმცროს „ბორჯღალოსანთა“ სამხრეთ ამერიკული ტურნეს მე-4 და ბოლო მატჩი გაიმართა, რომელშიც ჩვენი 20-წლამდელები ურუგვაის თანატოლთა ნაკრებს ეთამაშნენ და ანგარიშით 22:11 (Iტ 10:3) გაიმარჯვეს.

კალათბურთი

დუდა სანაძემ ამერიკის სტუდენტურ ლიგაში თამაში დაასრულა. სანაძის გუნდი „ლოიოლა მერიმაუნთს“ დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში - 61:64 წაგო. სანაძემ თავისი სტუდენტური კარიერის ბოლო მატჩში 20 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრადა 1 დაფარება მიითვალა. ქართველი კალათბურთელი ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო, მაგრამ მისი მოწადინება სანდიეგოელებს გასამარჯვებლად არ ეყოთ. დუდამ 8-დან 6 ორქულიანი, 9-დან 1 სამიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

* * * * *

ბექა ბურჯანაძის წინამძღოლობით ლაკორინიულმა „ლეიმა ბასკეტმა“ ესპანეთის რანგით მეორე დივიზიონში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ქართველი ფორვარდის გუნდმა აუტსაიდერ „პრატ ხუვენდუტს“ უმასპინძლადა 19 ქულის სხვაობით - 96:77 გაანადგურა. ბურჯანაძე სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 26 წუთში 18 ქულა, 6 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. ბექამ 6-დან 3 ოქრულიანი, 3-დან 2 სამიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

* * * * *

ზაზა ფაჩულიამ სეზონის 24-ე ორმაგი დუბლი შეასრულა. „დალას მავერიკსის“ ქართველმა ცენტრმა „ორლანდო მეჯიქთან“ მატჩში 17 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა, რითაც ტეხასური გუნდის გამარჯვებაში უდიდესი წილი დაიდო.

ფაჩულიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 31 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 8-დან 6 ორქულიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. 17 ქულასა და 10 მოხსნასთან ერთად ზაზამ 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. ფაჩულიას მსგავსად 17-17 ქულა მოაგროვეს ჩანდლერ პერსონსმა და ჯეიჯეი ბარეამ. 21 ქულით ბომბარდირი ვესლი მეთიუზი გახდა, დირკ ნოვიცკის ანგარიშზე კი 19 ქულა დაგროვდა.

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

Managing Director: Nino Sharashidze
Nino.sharashidze@observer.com.ge

Chief Editor: Tamar Chapidze
editor@observer.com.ge

Subscription & Advertising: sales@observer.com.ge

15 Shio Mghvimeli Str.

0179, Tbilisi, Georgia

E: info@observer.com.ge

T: +995 557 68 36 53